

# საპარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი

შემაჯამებელი ანგარიში



2020

# სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი

*(შემაჯამებელი ანგარიში)*



*ანგარიში მომზადებულია  
ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ*

**ავტორი:** გიორგი ტყებუჩავა

**რედაქტირება:** ალექო ცქიტიშვილი,  
გიორგი კაკუბავა

**მონიტორები:** ანი ფორჩხიძე  
თამარ ქურთაული  
ნინო ჩიხლაძე

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა ღონებზე აღმოსაფხვრელად.

### ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); [www.fidh.org](http://www.fidh.org)
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); [www.omct.org](http://www.omct.org)
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი [www.humanrightshouse.org](http://www.humanrightshouse.org)
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC); [www.coalitionfortheicc.org](http://www.coalitionfortheicc.org)

### მისამართი:

0160 თბილისი, ა. გაბოკიძის ქ. 11ა, III სართული

ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 238 46 48

ელ-ფოსტა: [hridc@hridc.org](mailto:hridc@hridc.org)

ვებ-პორტალი ადამიანის უფლებების შესახებ [www.humanrights.ge](http://www.humanrights.ge)

ვებ-საიტი: [hridc.org](http://hridc.org)



**National Endowment  
for Democracy**

*Supporting freedom around the world*

ანგარიში მომზადდა ფონდის „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

## სარჩევი

შესავალი .....	4
მეთოდოლოგია .....	7
სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები.....	9
დაკვირვების ქვეშ არსებული საქმეების სამართლებრივი შეფასება.....	21
აღკვეთის ღონისძიების შეფარდების პრაქტიკა .....	35
„სირცხვილიას“ აქტივისტების საქმე.....	38
საპროცესო შეთანხმებების დადების პრაქტიკა.....	40
პრობლემები დაზარალებულის სტატუსის მინიჭებისას .....	44
უდანაშაულობის პრეზუმფცია .....	48
საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის და დუმილის უფლება.....	50
გასამართლების უფლება გონივრულ ვადაში.....	53
მოტივირებული სასამართლო გადაწყვეტილების უფლება .....	55
შერჩევითი სამართალი.....	57
დისტანციური წესით გამართული სასამართლო სხდომები .....	60
ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაციის პრობლემა ....	64
მონმეთა დაკითხვის პრობლემა.....	65
დისტანციურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები.....	67
დასკვნა.....	68
რეკომენდაციები.....	72

## შესავალი

წინამდებარე ანგარიში ასახავს 2020 წლის 1 თებერვლიდან 10 დეკემბრამდე სავარაუდო პოლიტიკური მოტივით მიმდინარე სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგებს<sup>1</sup>.

ახალი კორონავირუსის ინფექციის პრევენციის გამო, 2020 წლის მარტში ქვეყნის მასშტაბით საგანგებო მდგომარეობის შემოღების მიუხედავად, ადამიანის უფლებათა ცენტრმა, სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგად, დააგროვა მნიშვნელოვანი, მოცულობითი და ობიექტური ინფორმაცია. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა მონიტორინგის განმავლობაში საქართველოს სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის მართლმსაჯულებაში არსებული ტენდენციების შეფასება, სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ, გახმაურებულ სისხლის სამართლის საქმეებზე დარღვევების იდენტიფიცირება და ანალიზი. ანგარიშში წარმოჩენილია ის საკითხები, რითაც განპირობებული იყო სასამართლო მონიტორინგის დაწყების აუცილებლობა და ასევე - თვალსაჩინო პრობლემები, რაც გამოვლინდა მონიტორინგის პროცესში სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის საქმეების მართლმსაჯულებაში.

მონიტორინგის დაწყებიდან, საბოლოო საანგარიშო პერიოდამდე - 10 დეკემბრამდე, ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის დააკვირდნენ ჯამში 96 სასამართლო სხდომას 25 საქმეზე. მონიტორინგის მიმდინარეობისას გამოქვეყნდა 6 ანალიტიკური დოკუმენტი, სადაც გაანალიზებულია როგორც უშუალოდ სასამართლო

---

<sup>1</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრი სასამართლო პროცესებს დააკვირდა პროექტით - „საზოგადოებრივი მოვლენების მონიტორინგი“. პროექტის შესახებ ინფორმაცია იხ.: <https://bit.ly/37ZrLSs>.

პროცესების მონიტორინგის შედეგები, ისე სისხლის სამართლის საქმეების შესწავლისას გამოკვეთილი სხვა პრობლემური საკითხები<sup>2</sup>.

25 საქმიდან, 8 საქმეზე გადაწყვეტილება გამოტანილია, 16 საქმე რჩება პირველი ინსტანციის სასამართლოში განსახილველად, ხოლო 6 საქმე გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებაში მომხდარი ცვლილებების მიუხედავად, „ქართული ოცნების“ მმართველობისას, კვლავ გრძელდება მართლმსაჯულების ორგანოების ბოროტად გამოყენების დამკვიდრებული პრაქტიკა. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო წინა ხელისუფლების არაერთი მაღალი რანგის მოხელის მიმართ. ამ საქმეების მიმართ იმთავითვე დიდ ინტერესს იჩენდნენ როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციები<sup>3</sup>. განსაკუთრებით საყურადღებოა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) ანგარიში, სადაც აღნიშნულია, რომ ეუთოს წინაშე აღებული ვალდებულებების გათვალისწინებით, საქართველო ამ საქმეების

<sup>2</sup> იხ.: 1) „გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წ.: <https://bit.ly/33SghZx>. 2) „2019 წ. 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი ანალიზი“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წ.: <https://bit.ly/2XUIHFh>. 3) „ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წ.: <https://bit.ly/31NEpka>. 4) „გიორგი რურუას სისხლის სამართლის საქმე სამართლებრივი ანალიზი“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წ.: <https://bit.ly/2CkSOfd>. 5) „ნიკა გვარამიას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის სამართლებრივი შეფასება“; ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020 წელი: <https://bit.ly/33NghAb>.

<sup>3</sup> მაგალითისთვის, იხ.: 1) „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ - გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო მონიტორინგის შუალედური ანგარიში. 2013 წელი: <https://bit.ly/3qApaH5>; 2) საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია - თბილისის და ქუთაისის საქალაქო სასამართლოების სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის ანგარიში. პერიოდი: ივლისი-დეკემბერი, 2013 წელი: <https://bit.ly/2Yu919Q>. 3) ადამიანის უფლებათა ცენტრი - სასამართლო მონიტორინგის ანგარიში ყოფილი მაღალჩინოსნების საქმეებზე; 2013 წელი: <https://bit.ly/3mTVRgq>.

გამჭვირვალედ, კანონის უზენაესობისა და სამართლიანი სასამართლოს სტანდარტების დაცვით წარმართვის გამოწვევის წინაშე დადგა<sup>4</sup>.

წინა ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების მიმართ დამკვირვებელი ორგანიზაციების ინტერესი კვლავ გაიზარდა ბოლო წლებში, როცა პროკურატურამ განაახლა შეჩერებული თუ შეფერხებული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიება და ზოგიერთი საქმე გადასცა სასამართლოს განსახილველად. გარდა ამისა, გამოძიება დაიწყო 2019 წლის 20-21 ივნისის და 2020 წლის ნოემბრის ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციების მონაწილე აქტივისტების თუ პოლიტიკური ლიდერების წინააღმდეგ<sup>5</sup>. საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების დაკვირვების ობიექტია, ასევე, ბოლო წლების საზოგადოებრივი პროტესტი, რაც სხვადასხვა საკითხთან ერთად, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო პოლიტიკოსებისა და მოქალაქეების მიერ ორგანიზებულ საპროტესტო აქციებსა და დაკავებული პირების სასამართლო პროცესებს უკავშირდება<sup>6</sup>.

*2020 წლის ოქტომბერში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციისა (FIDH) და ადამიანის უფლებათა ცენტრის (HRC) წარმომადგენლებმა არაფორმალური შეხვედრები გამართეს და საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ თავიანთი ხედვები გააცნეს ევროკავშირის (ევროპის სავარეო ქმედებათა სამსახური, ევროკომისია, ევროპარლამენტი) წარმომადგენლებს<sup>7</sup>.*

---

<sup>4</sup> იხ.: სასამართლო პროცესების მონიტორინგის ანგარიში, OSCE/ODIHR. ვარშავა, 09.12.2014 წ.

<sup>5</sup> იხ.: 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი ანალიზი“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი: <https://bit.ly/2XUIHFh>.

<sup>6</sup> იხ.: ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება: <https://bit.ly/36TJRGg>; ასევე - <https://bit.ly/39QGnG8>.

<sup>7</sup> იხ.: ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება: <https://bit.ly/2JBhBiR>; ასევე - ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის განცხადება: <https://bit.ly/33RPIK6>.

საბოლოო ჯამში, პოლიტიკოსების და აქტივისტების სისხლისსამართლებრივი დევნის დისპროპორცია, მატერიალურ და პროცესუალურ დარღვევებთან ერთად, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ბადებს საფუძვლიან ეჭვებს ამ ანგარიშში განხილული სისხლის სამართლისა თუ ადმინისტრაციულ საქმეებში პოლიტიკური მოტივების შესახებ.

## მეთოდოლოგია

სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო პროცესების მონიტორინგის პროექტი განხორციელდა ადამიანის უფლებათა ცენტრის (Human Rights Center) მიერ შემუშავებული სასამართლო პროცესების მონიტორინგის მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომლის მიზანია, მონიტორინგის ქვეშ არსებული სასამართლო პროცესებისა და ქვეყნის შიდა კანონმდებლობის სამართლიანი სასამართლოს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში შესაძლო ხარვეზების, ასევე - ხელისუფლების სავარაუდო პოლიტიკური მოტივების იდენტიფიცირება და ანალიზი.

2020 წლის განმავლობაში სასამართლო პროცესებს აკვირდებოდა 3 სასამართლო მონიტორი, რომლებმაც სასამართლო პროცესების მონიტორინგის შესახებ სპეციალური ტრენინგი გაიარეს. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია მოიცავდა კონკრეტულად სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო პროცესებისთვის მომზადებული სპეციალური კითხვარებით მუშაობას. სასამართლო მონიტორები ყოველი სხდომის შემდეგ ამზადებდნენ ანგარიშებს და აღწერდნენ სასამართლო სხდომების დეტალებს. მათი ანგარიშებიდან მიღებულ ინფორმაციას აჯამებდა და ანალიტიკური დოკუმენტებისთვის, ასევე - ანგარიშებისთვის



იყენებდა ანალიტიკოსი იურისტი. თითოეულ გამოქვეყნებულ დოკუმენტში გაანალიზებულია, რამდენად შეესაბამება სამართალწარმოება საერთაშორისო სტანდარტებს, აღიარებულ პრაქტიკას და საერთაშორისო ვალდებულებებს.

ანგარიში, ასევე ეყრდნობა ანალიტიკოსი იურისტის მიერ ბრალდებულებისგან ან მსჯავრდებულებისგან და მათი უფლებადამცველებისგან ინტერვიუების გზით მიღებულ ინფორმაციას, მონიტორინგის ქვეშ არსებული საქმეების სხვადასხვა დოკუმენტს და კვლევისას გამოვლენილ მიგნებებს. ამასთან, კვლევის პროცესში შესწავლილია საქმეებში არსებული ბრალდების შესახებ დადგენილებები, დაცვისა და ბრალდების მხარეების შუამდგომლობები, სასამართლოების მიერ მიღებული განჩინებები, შუალედური გადაწყვეტილებები, განაჩინები/გადაწყვეტილებები.

ამასთან, სასამართლო პროცესების მონიტორინგი ეფუძნება ობიექტურობას, სასამართლო პროცესებში ჩაურევლობის მკაცრი პრინციპების დაცვას. ამავე დროს, მონიტორინგის პარალელურად, სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული, გახმაურებული პროცესებისადმი საზოგადოების დიდი ინტერესის გამო, ადამიანის უფლებათა ცენტრი მუდმივად ხელმისაწვდომს ხდიდა მნიშვნელოვან ინფორმაციას სასამართლო სხდომების წარმართვისა და დასკვნების შესახებ პროცესში ჩართული მხარეებისთვის, მედიისა და საზოგადოებისთვის.

## სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები

ადამიანის უფლებათა ცენტრი 2020 წლის 1 თებერვლიდან აკვირდება საერთო სასამართლოებში მიმდინარე სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესებს. 2020 წლის ბოლომდე ადამიანის უფლებათა ცენტრის დაკვირვების ქვეშ მოექცა 25 საქმე, რომელთაგან ნაწილის განხილვა სასამართლოში ამჟამად დასრულებულია.

1) გიორგი უგულავას საქმე (ე.წ. თბილისის განვითარების ფონდის საქმე). საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თბილისის ყოფილი მერი, „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, გიორგი უგულავა დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის, რაც გულისხმობს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო მითვისებას ან გათვალისწინებას. უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 10 თებერვლის ამ განაჩენით, გიორგი უგულავას 3 წლით, 2 თვით და 8 დღით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. იგი საპატიმროდან 2020 წლის 15 მაისს საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების აქტის საფუძველზე გათავისუფლდა. უზენაეს სასამართლოში გიორგი უგულავას საქმე ყოფილი გენერალური პროკურორის, შალვა თაღუმაძის თავმჯდომარეობით განიხილებოდა.

2) გიორგი უგულავასა და ალექსანდრე გოგობიას საქმე. ქალაქ თბილისის ყოფილი მერის, გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის ეს საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებითი განხილვის ეტაპზეა. ბრალდებულებს პროკურატურა სსკ-ის 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას ედავება, რაც

გულისხმობს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას (ფულის გათეთრება). ამასთან, უგულავას სახელმწიფო ბრალდება ამავე საქმეში „სითი პარკის“ ეპიზოდზე სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, ხოლო ე.წ. მარნეულის ეპიზოდზე ჯგუფური მოქმედების ორგანიზებასა და იძულებასაც ედავება. საქმეს იხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ვალერიან ბუგიანაშვილი.

3) გიორგი უგულავას საქმე (ე.წ. აეროპორტის საქმე). პროკურატურის 2019 წლის 11 დეკემბრის დადგენილებით, გიორგი უგულავას ბრალი ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. ბრალდების ვერსიით, გიორგი უგულავამ ბ.გ.-ს მიაყენა ფიზიკური დაზიანება. დაცვის მხარე კი აცხადებს, რომ ბ.გ. პირიქით - პროვოკაციულად თავს დაესხა „ევროპული საქართველოს“ ლიდერებს - გიორგი უგულავას და გიორგი გაბაშვილს. საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს ბადრი კოჭლამაზაშვილს არსებითად განსახილველად აქვს გადაცემული, მაგრამ განხილვა ამ დრომდე არ დაწყებულა.

მონიტორინგის მიმდინარეობისას ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოაქვეყნა ანალიტიკური დოკუმენტი - *გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება*<sup>8</sup>.

4) ნიკანორ მელიას საქმე. პარლამენტის ყოფილ დეპუტატს, ნიკანორ მელიას ბრალი წარდგენილი აქვს საქართველოს სსკ-ის 225-ე მუხლის I და II ნაწილებით, რაც გულისხმობს ჯგუფური ძალადობის ორგანიზებას და მასში მონაწილეობას. სისხლის სამართლის საქმე 2019 წლის 20-21 ივნისის საპროტესტო აქციას უკავშირდება.

---

<sup>8</sup> იხ.: „გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი: <https://bit.ly/33SqhZx>.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა ნიკანორ მელიას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე მიმოიხილა დოკუმენტში - 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი ანალიზი<sup>9</sup>.

**5) ნიკანორ მელიასა და ზურაბ ადეიშვილის საქმე.** ამ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით სასამართლო პროცესი მიმდინარეობს თბილისის სააპელაციო სასამართლოში. ნიკანორ მელიას, იუსტიციის ყოფილ მინისტრ ზურაბ ადეიშვილთან ერთად, ბრალი წარდგენილი აქვს სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს. აღსანიშნავია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში ნიკანორ მელია გამართლდა სსკ-ის 205-ე პრიმა მუხლით გათვალისწინებულ ბრალდებაში, რაც გულისხმობს ქონების დამალვას მოჩვენებით, ან თვალთმაქცური გარიგებით.

**6) ირაკლი ოქრუაშვილის საქმე.** პარტია „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერს, ირაკლი ოქრუაშვილს ბრალი წარედგინა 2019 წ. 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებულ საქმეზე, სსკ-ის 225-ე მუხლით, რაც გულისხმობს ჯგუფური ძალადობის ორგანიზებას, ხელმძღვანელობას ან მასში მონაწილეობას. 2020 წლის 13 აპრილის განაჩენით მას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა დანაშაულში მონაწილეობის ბრალდებით. პრეზიდენტის შეწყალების აქტის საფუძველზე ოქრუაშვილმა, ისევე როგორც გიორგი უგულავამ, პენიტენციური დაწესებულება 15 მაისს დატოვა. შეწყალების მიუხედავად, ოქრუაშვილმა განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, სადაც საქმის განხილვა ჯერ კიდევ არ დაწყებულა. საქმეს მოსამართლე ვეტხვია ლომიძე განიხილავს

---

<sup>9</sup> იხ.: „2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი ანალიზი“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი: <https://bit.ly/2XUIHFh>.

7) **ირაკლი ოქრუაშვილის და ზურაბ ადგიშვილის საქმე - ე.წ ბუტა რობაქიძის საქმე.** ირაკლი ოქრუაშვილს და ზურაბ ადგიშვილს ბრალი წარდგენილი აქვთ სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას. საქმე ეხება 2004 წლის 24 ნოემბერს თბილისში, დიდუბის პანთეონთან მომხდარ შემთხვევას, რა დროსაც საპატრულო პოლიციის პატრულმა ინსპექტორებმა გააჩერეს BMW-ს მარკის ავტომანქანა, მძღოლითა და ხუთი მგზავრით. მათი შეჩერებისა და პირადი შემოწმებისას პატრულ-ინსპექტორ გრიგოლ ბაშალეიშვილს შემთხვევით გაუვარდა ტყვია ტაბელური ცეცხლსასროლი იარაღიდან და მარცხენა ილლიის არეში მძიმედ დაჭრა ავტომანქანიდან გადმოსული მგზავრი - ამირან (ბუტა) რობაქიძე, რომელიც ადგილზევე გარდაიცვალა. ბრალდების დადგენილებით, ამ ფაქტზე ინფორმაცია იმავე ღამით მიიღო შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა, რომელმაც შემთხვევის ადგილზე მისულ შსს-ს მაღალჩინოსნებს დაავალა, „გადაერჩინათ საპატრულო პოლიციის იმიჯი“ და ფაქტისთვის მიეცათ შეიარაღებული დაჯგუფების მიერ პოლიციელებზე თავდასხმის სახე. გარდა ამისა, ბრალდების შესახებ დადგენილებით, იმუამინდელი საქართველოს გენერალური პროკურორის, ზურაბ ადგიშვილის დავალებით, გამოძიება წარიმართა სამართლებრივად არასწორი მიმართულებით, რაც გამოიხატა გაყალბებული მტკიცებულებების საპროცესო წესით დამაგრებასა და შსს-ს მაღალჩინოსნების მიერ შემუშავებული ვერსიის გამყარებაში. საქმეს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძე იხილავს.

მონიტორინგის მიმდინარეობისას ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოაქვეყნა ანალიტიკური დოკუმენტი - *ირაკლი ოქრუაშვილის*

*წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება<sup>10</sup>.*

**8) კობა კოშაძის საქმე.** პარტია „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერის, ირაკლი ოქრუაშვილის დაცვის წევრს, კობა კოშაძეს ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში, რაც გულისხმობს ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენას, შენახვას ან ტარებას. მას შემდეგ, რაც პროკურატურამ სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შუამდგომლობით მიმართა, კობა კოშაძის მიმართ სასამართლომ გააუქმა აღკვეთის ღონისძიების სახედ გამოყენებული პატიმრობა და ბრალდებულს შეეფარდა გირაო 5 000 ლარის ოდენობით. კოშაძე სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა კობა კოშაძის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე მიმოიხილა დოკუმენტში - *ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება<sup>11</sup>.*

**9) გიორგი რურუას საქმე.** ტვ „მთავარი არხის“ ერთ-ერთ დამფუძნებელს და მენილეს, 2019 წლის 20-21 ივნისის და ნოემბრის საპროტექსტო აქციების ერთ-ერთ ორგანიზატორს და მონაწილეს, გიორგი რურუას ბრალი ედება სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება); მას ასევე ბრალი წარედგინა აქვს სსკ-ის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც ითვალისწინებს სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობას ანდა მისი შესრულებისათვის ხელის შეშლას. 2020 წლის 30 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლე

---

<sup>10</sup>იხ.: „ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი: <https://bit.ly/31NEpka>.

<sup>11</sup> ოქვე: გვ. 20.

ვალერიან ბუგიანიშვილმა გიორგი რურუას მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა და მას სასჯელის სახედ 4 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. სასამართლომ გიორგი რურუა დამნაშავედ ცნო ორივე წარდგენილ ბრალდებაში. საქართველოს პრეზიდენტი მსჯავრდებულის შეწყალებაზე უარს აცხადებს. პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენს დაცვის მხარე თბილისის სააპელაციო სასამართლოში ასაჩივრებს.

მონიტორინგის მიმდინარეობისას ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოაქვეყნა ანალიტიკური დოკუმენტი - *გიორგი რურუას სისხლის სამართლის საქმე - სამართლებრივი ანალიზი*<sup>12</sup>.

**10) მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძის და ავთანდილ წერეთლის საქმე.** თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს, მამუკა ხაზარაძესა და მის მოადგილეს, ბადრი ჯაფარიძეს (ამჟამად - პოლიტიკური ორგანიზაცია „ლელო საქართველოსთვის“ ლიდერები) ბრალი ედებათ სსკ-ის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით, რაც გულისხმობს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას, რომელიც განხორციელდა ჯგუფურად და თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება. ხოლო TV პირველის მფლობელის მამის, ავთანდილ წერეთლის მიმართ წარდგენილი ბრალი გულისხმობს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში დახმარებას (25-194 მუხლის მე-2 ნაწ-ის „ა“ და მე-3 ნაწ-ის „გ“ ქვ/პ). სისხლის სამართლის საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებითი განხილვის ეტაპზეა.

**11) ნიკა გვარამიას საქმე.** „მთავარი არხის“ დამფუძნებელსა და გენერალურ დირექტორს, ნიკა გვარამიას ბრალი ედება სსკ-ის 220-ე მუხლით, რაც ითვალისწინებს საწარმოში ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური

---

<sup>12</sup> იხ.: „გიორგი რურუას სისხლის სამართლის საქმე სამართლებრივი ანალიზი“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი: <https://bit.ly/2CkSOfd>.

უფლებამოსილების გამოყენებას ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

მონიტორინგის მიმდინარეობისას ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოაქვეყნა ანალიტიკური დოკუმენტი - *ნიკა გვარამიას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის სამართლებრივი შეფასება*<sup>13</sup>.

**12) მიხეილ სააკაშვილისა და თეიმურაზ ჯანაშიას საქმე.** საქართველოს ექსპრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილისა და სახელმწიფო დაცვის ყოფილ უფროსს, თეიმურაზ ჯანაშიას ბრალი წარდგენილი აქვთ სსკ-ის 182-ე მუხლის „ბ“ ბუნქტით, რაც გულისხმობს საბიუჯეტო თანხების დიდი ოდენობით (8 837 461 ლარი) ჭკუფურად გაფლანგვას. სისხლის სამართლის საქმეს არსებითად იხილავს თბილისის საქალაქო სამართლოს მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილი.

**13) მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადგიშვილის, დავით კვბერაშვილისა და გიგი უგულავას საქმე.** ექსპრეზიდენტ სააკაშვილის წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში ასევე განიხილება სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ეხება 2007 წ. 7 ნოემბერს მომიტინგეთა მასობრივად დარბევას, ტელეკომპანია „იმედი“ შეჭრას და მის „ხელში ჩაგდებას“. მიხეილ სააკაშვილის გარდა, ბრალი წარდგენილი აქვთ იმ პერიოდის მაღალჩინოსნებს: ივანე მერაბიშვილს, ზურაბ ადგიშვილს, დავით კვბერაშვილსა და გიგი უგულავას. საქმეს, მისი სირთულიდან გამომდინარე, იხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობა. სხდომას თავმჯდომარეობს მოსამართლე ნინო ელვიშვილი.

---

<sup>13</sup> იხ.: „ნიკა გვარამიას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის სამართლებრივი შეფასება“; ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020 წელი: <https://bit.ly/33NghAb>.



**14) ლაშა ჩხარტიშვილის საქმე.** 2020 წლის 20 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ლაშა ჩხარტიშვილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე და მას ჯარიმის სახით დააკისრა 3500 ლარის გადახდა. მოსამართლე მანუჩარ ცაცუამ გადაწყვეტილება 3 სასამართლო სხდომაში მიიღო. ჩხარტიშვილმა გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. სასამართლო სხდომა ამ დრომდე არ ჩანიშნულა.

**15) ბესიკ თამლიანის, ზურაბ ბუდალაშვილის, ცოტნე სოსელიას და კახაბერ კუპრეიშვილის საქმე.** ბესიკ თამლიანს, ზურაბ ბუდალაშვილს, ცოტნე სოსელიას და კახაბერ კუპრეიშვილს ბრალი წარდგენილი აქვთ საქართველოს სსკ-ს 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც გულისხმობს ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობას, რასაც თან ახლავს ძალადობა, რბევა, სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, იარაღის გამოყენება, იარაღის გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა ანდა მათზე თავდასხმა. საქმეზე პროკურატურასა და ბრალდებულებს - ზურაბ ბუდალაშვილს, ცოტნე სოსელიასა და კახაბერ კუპრეიშვილს შორის დაიდო საპროცესო შეთანხმება. 2020 წლის 23 მარტს ბესიკ თამლიანის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახე შეიცვალა 4000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ. მან დატოვა პენიტენციური დაწესებულება. სისხლის სამართლის საქმის განხილვა, ბესიკ თამლიანის მიმართ, თბილისის საქალაქო სასამართლოში კვლავ გრძელდება.

**16) ბეჟან ლორთქიფანიძის საქმე.** საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ნაკრესის“ თანამშრომელს, ბეჟან ლორთქიფანიძეს ბრალი წარედგინა სსკ-ის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც გულისხმობს ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობას, ორგანიზებას ან მასში მონაწილეობას. ბეჟან ლორთქიფანიძე ბრალს არ აღიარებს. ბრალდება უკავშირდება 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებს. სავლელე ბიოლოგი და ველური

ბუნების მკვლევარი ბეჟან ლორთქიფანიძე 2019 წლის 20 ივნისს დააკავეს და მას შეფარდებული ჰქონდა 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა. ამ დროისთვის ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახედ გირაო აქვს შეფარდებული. სასამართლო პროცესი არ დასრულებულა.

**17-18-19) ყოფილი სპეცრაზმელების საქმეები.** ლევან იმერლიშვილს, გიორგი ესიაშვილს და მინდია ამბარდნიშვილს ბრალი წარედგინათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს - „მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, ჩადენილი ძალადობით ან იარაღის გამოყენებით“. ყოფილი სპეცრაზმელების მიმართ სისხლის სამართლის საქმეებს თბილისის საქალაქო სასამართლოში ცალ-ცალკე სხვადასხვა მოსამართლე განიხილავს.

**20) გიორგი ჯავახიშვილისა და თორნიკე დათაშვილის საქმე.** გიორგი ჯავახიშვილი და თორნიკე დათაშვილი სასამართლომ დამნაშავედ ცნო სსკ-ის 225-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, რაც გულისხმობს ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობას, ორგანიზებას ან მასში მონაწილეობას. მოცემული საქმე განიხილებოდა 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებულ ირაკლი ოქრუაშვილის საქმესთან ერთად, მაგრამ ჯავახიშვილისა და დათაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე ცალკე წარმოებად გამოიყო და ისინი მალევე გათავისუფლდნენ მას შემდეგ, რაც საპროცესო შეთანხმება გაუფორმდათ.

**21) ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის შენობასთან დაკავებული მოქალაქეების საქმე.** ადამიანის უფლებათა ცენტრი დააკვირდა 4 ნოემბერს ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის შენობასთან გამართულ საპროტესტო აქციაზე საქართველოს ადმინისტრაციული

სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების საფუძველზე დაკავებული 7 პირის ადმინისტრაციულ პროცესს. მოსამართლის გადაწყვეტილებით, 7 დაკავებულიდან მხოლოდ ერთის მიმართ შეწყდა სამართალწარმოება. 3 პირი კოდექსის მხოლოდ 173-ე, 3 კი ორივე - 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის ცნობილ იქნენ სამართალდამრღვევებად. ერთს სახდელის ზომად 5 დღე-ღამით ადმინისტრაციული პატიმრობა, დანარჩენ 5 პირს კი 3 დღე-ღამის ვადით პატიმრობა განესაზღვრათ.

**22) მიხეილ თოდუას (მიხაილოს) საქმე.** 2013 წლის 25 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის საფუძველზე მიხეილ თოდუას მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით. მას მსჯავრი დაედო ნარკოტიკული დანაშაულისთვის, კერძოდ - კლუბური ნარკოტიკის შეძენის, შენახვისა და მისი მოხმარებისათვის. 2019 წლის 11 ოქტომბერს, მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთა შეეცვალა შინაპატიმრობით, 2 წლისა და 11 თვის ვადით. მას დაევალა საცხოვრებელ ადგილზე ყოფნა 21:00 საათიდან 08:00 საათამდე. 2020 წლის 11 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა თბილისის პრობაციის ბიუროს წარდგინება, მიხეილ თოდუას მიმართ გამოყენებული შინაპატიმრობის გაუქმებისა და საპატიმრო სასჯელის გამოყენების თაობაზე იმ მოტივით, რომ მან დაარღვია შინაპატიმრობის პირობები და 17 ოქტომბერს 22:00 საათზე დაუკრა პარტია გირჩის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე. მოსამართლის გადაწყვეტილებით, პრობაციის ბიუროს წარდგინება თავისუფლების აღკვეთის სასაჯელის სახედ გამოყენებასთან დაკავშირებით არ დაკმაყოფილდა. პრობაციის ბიურომ სასამართლო სხდომაზე წარმოადგინა, ასევე, ალტერნატიული მოთხოვნა, რაც მოსამართლემ დააკმაყოფილა და მიხეილ თოდუას დაეკისრა შინაპატიმრობის ვალდებულება 19:00 საათიდან 08:00 საათამდე, ნაცვლად 21:00-08:00 საათისა.

**23) „სირცხვილიას“ აქტივისტების საქმე.** [ალექსი მაჭავარიანი, ნოდარ რუხაძე და გიორგი მუჟაფანაძე - „სირცხვილიას“ აქტივისტები 2020 წ. 9](#)

ნოემბერს საქართველოს პარლამენტის შენობასთან დააკავეს გაერთიანებული ოპოზიციის აქციაზე, რომელიც 22:00 საათიდან სწორედ „სირცხვილიას“ ორგანიზებით უნდა გავრძელებულიყო. შსს დაკავებულებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს - წერილმან ხულიგნობას და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას ან ამ პირის სიტყვიერ შეურაცხყოფას ედავებოდა. თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ პროცესზე დაცვის მხარემ აღნიშნა, რომ სამართალდარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია არც ერთი დაკავებულის მხრიდან. დაკავებები ატარებდა პრევენციულ ხასიათს და არანაირი დაკავების საფუძველი არ არსებობდა. დაკავებულები სასამართლომ სამართალდამრღვევად ცნო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენაში<sup>14</sup>.

24) აკაკი ხუსკივაძის და აკაკი კობალაძის საქმე. ადამიანის უფლებათა ცენტრი სწავლობს ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გარდაცვალების საქმესთან დაკავებული მოქალაქეების - აკაკი ხუსკივაძისა და აკაკი კობალაძის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს და აკვირდება სასამართლოში საქმის განხილვას. აკაკი ხუსკივაძესა და აკაკი კობალაძეს ბრალი ედებათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლის 1 ნაწილით, 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენაში, რაც გულისხმობს მოხელისათვის პირდაპირ მის სასარგებლოდ ფულის შეთავაზებას, რათა მან თანამდებობრივი უფლების განხორციელების და მოვალეობის შესრულებისას ქრთამის მიმცემის ან სხვა პირის სასარგებლოდ განახორციელოს რაიმე ქმედება ასევე, ჯგუფურად ჩადენილი ჯანმრთელობის დაზიანების მუქარას,

---

<sup>14</sup> იხ.: ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება: <https://bit.ly/2Kft5DS>.

როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან გაუჩნდა მექარის განხორციელების საფუძვლიანი შიში და ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვას, ე.ი მისი ფსიქიკური იძულებას შეასრულოს მოქმედება, რომლის შესრულებისაგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ჩადენილი ჯგუფურად. დამატებით, ბრალდებულ აკაკი კობალაძეს ბრალად ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა, რაც გულისხმობს საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექენასა და შენახვას.

თბილისის საქალაქო სასამართლომ, 2020 წლის 10 დეკემბერს, ისნის საოლქო კომისიის თავმჯდომარის საქმეზე დაკავებულები გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. მათ გირაოს სახით 10 ათასი ლარის გადახდა დაეკისრა<sup>15</sup>.

**25) ივერი მელაშვილის და ნატალია ილიჩოვას (ე. წ. კარტოგრაფების) საქმე.** ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები აკვირდებიან ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვას სისხლის სამართლის საქმეს. მათ ბრალი წარდგენილი აქვთ სსკ-ის 308-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც გულისხმობს საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედებას, რომელიც მიმართულია უცხო ქვეყნისათვის საქართველოს მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის გადაცემისაკენ ანდა საქართველოს ტერიტორიიდან მისი ნაწილის გამოყოფისაკენ. 8 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ პროცესზე ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ. 2020 წლის 30 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში ბრალდებულების საქმეზე სასამართლო სხდომა გიმართა, სადაც სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების შეცვლაზე იმსჯელა. სასამართლომ არ გაითვალისწინა დაცვის მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და არც ის გარემოება, რომ ბრალდებულებს გათავისუფლების სანაცვლოდ თავდებად 200-ზე მეტი

---

<sup>15</sup> იხ.: ინფორმაციას სრულად: <https://bit.ly/3ncFSKo>.

პირი უდგებოდა. ამის მიუხედავად სასამართლომ ნატალია ილიჩოვა და ივერი მელაშვილი პატიმრობაში დატოვა.

მონიტორინგის მიმდინარეობისას ადამიანის უფლებათა ცენტრმა 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეები გააანალიზა დოკუმენტში - *2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი ანალიზი*<sup>16</sup>.

ასევე, მონიტორინგის მიმდინარეობისას ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოაქვეყნა - *სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი - შუალედური ანგარიში, 2020*<sup>17</sup>.

## დაკვირვების ქვეშ არსებული საქმეების სამართლებრივი შეფასება

### 1) გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე საქმეები

ქალაქ თბილისის ყოფილი მერის, გიორგი უგულავას საქმეებთან დაკავშირებით შესაძლო პოლიტიკური მოტივების გამოსავლენად, ადამიანის უფლებათა ცენტრმა, საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით და ქართული სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოიყენა ევროპის საბჭოს<sup>18</sup>, ასევე - საერთაშორისო ორგანიზაცია Amnesty International-ის მიერ შემუშავებული, პოლიტიკური პატიმრის სტატუსის

<sup>16</sup> იხ.: „2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი ანალიზი“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი: <https://bit.ly/2XUIHFh>.

<sup>17</sup> იხ.: სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი - შუალედური ანგარიში; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი. <https://bit.ly/2JZ0eZh>.

<sup>18</sup> იხ.: ევროპის საბჭოს კრიტერიუმები: <https://bit.ly/3h3tx9a>

არსებობისთვის საჭირო კრიტერიუმები<sup>19</sup>. ევროპის საბჭომ ეს კრიტერიუმები ჯერ კიდევ 2001 წლის 3 მაისს შეიმუშავა და გამოიყენებოდა 2001-2004 წლებში სომხეთსა და აზერბაიჯანში პოლიტიკური პატიმრების იდენტიფიცირებისათვის. ხოლო 2012 წლის 26 ივნისს, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც ამტკიცებს „პოლიტიკური პატიმრების შესახებ“ აღნიშნულ კრიტერიუმებს<sup>20</sup>.

სწორედ ამ კრიტერიუმების საფუძველზე იქნა იდენტიფიცირებული გიგი უგულავას საქმეში არსებული მძიმე დარღვევები, კერძოდ, დაირღვა საკასაციო საჩივრის განხილვის ნ-თვიანი ვადა; არ მოხდა საქმის განმხილველი ერთ-ერთი მოსამართლის - შალვა თაღუმაძის აცილება, რომელიც მანამდე სასამართლოში საქმის განხილვისას მთავარი ბრალმდებელი (გენერალური პროკურორი) იყო. დაცვის მხარის წარმომადგენლები მიუთითებდნენ, რომ არსებობდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (რაც გულისხმობს შემდეგს: მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში თუ არსებობს სხვა გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას) მოსამართლის აცილების საფუძველი, თუმცა, დაცვის მხარის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა<sup>21</sup>. აქვე აღსანიშნია ის ფაქტი, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს უკვე აქვს დადგენილი დარღვევა ისეთ საქმეში, სადაც პირი ერთი მხარის წინააღმდეგ ორ საქმეში მონაწილეობდა - პირველ შემთხვევაში გამოდიოდა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის როლში, ხოლო მოგვიანებით სხვა საქმეში იმავე პირის მიმართ მოსამართლის

---

<sup>19</sup> იხ.: საერთაშორისო ამნისტიის კვლევა: „იუგოსლავიის სინდისის პატიმრები“; გვ. 23. <https://bit.ly/33NunBB>.

<sup>20</sup> იხ.: ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2012 წლის 26 ივნისის რეზოლუციით გათვალისწინებული კრიტერიუმები პოლიტიკური პატიმრის შესახებ: <https://bit.ly/3gk8W00>.

<sup>21</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი“. <https://bit.ly/2InKluz>.

ფუნქციები შეითავსა<sup>22</sup>. სასამართლოს დაბალ ინსტანციაში გიგი უგულავას საქმის განხილვის დროს მოქმედი გენერალური პროკურორის მიერ უზენაეს სასამართლოში იმავე საქმის მოსამართლის ამპლუაში განხილვა სამართლიანად აჩენს ეჭვებს მისი ობიექტურობის შესახებ.

გიორგი უგულავას სისხლის სამართლის საქმეზე 13 დღეში იქნა შესწავლილი მრავალტომიანი საქმე და განაჩენი გამოტანილი; საკასაციო სასამართლომ საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა, როცა მასზე განსაკუთრებით მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობდა სავარაუდო პოლიტიკური მოტივების გამო; ამასთან, არსებობს შერჩევითი სამართლის სხვა ნიშნები<sup>23</sup>.

## 2) საქმეები ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ

თბილისის საქალაქო სასამართლომ ირაკლი ოქრუაშვილი საქართველოს სსკ-ის 225-ე მუხლის პირველ ნაწილით<sup>24</sup> წარდგენილ ბრალდებაში (ჯგუფური მოქმედების ხელმძღვანელობა) გაამართლა. საქმეში, მხარეთა მიერ შეჭიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლოსთვის წარდგენილი და სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით გამოკვლეული მტკიცებულებებით წარდგენილი ბრალდება ემყარებოდა მხოლოდ ისეთ მტკიცებულებებს, რომელთა უტყუარობის დასაჯერებლად საჭირო იყო დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა და სასამართლოს წინაშე აღმოჩნდა მხოლოდ ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც საქმის შედეგისადმი მათი დამოკიდებულების გათვალისწინებით უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობად მიჩნევის საშუალებას არ იძლეოდა.

---

<sup>22</sup> იხ.: ვეტშტაინი შვეიცარიის წინააღმდეგ, 33958/96, პარა. 47. <https://bit.ly/39Yh2dk>.

<sup>23</sup> დეტალურად იხ.: „გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი: <https://bit.ly/33SqhZx>.

<sup>24</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის 1-ლი ნაწილი. <https://bit.ly/2VSlmmp>.



თუმცა, სასამართლომ ირაკლი ოქრუაშვილი დამნაშავედ ცნო საქართველოს სსკ-ის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით<sup>25</sup> გათვალისწინებული დანაშაულის (ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა) ჩადენაში. გამამტყუნებელი განაჩენი დაეყრდნო მხოლოდ 4 პოლიციელი მონმის ჩვენებას. ნეიტრალური მტკიცებულებების სახით კი, სასამართლო პროცესზე წარმოდგენილი იქნა ტელეკომპანიებიდან გამოთხოვილი ვიდეოჩანაწერები და სამართლებრივად პრობლემური ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნები.

სასამართლომ გვერდი აუარა ნორმის თავისებურებას და დანაშაულებრივი ქმედების ინდივიდუალური ნიშნების იდენტიფიცირებისა და შეფასების გარეშე, ბრალდებულის ქმედება ძალადობად დააკვალიფიცირა, როცა სსკ-ის 225-ე მუხლის მიზნებისთვის „ძალადობა“ უფრო მეტი ინტენსივობის ფიზიკურ ზემოქმედებად უნდა განიმარტოს, ვიდრე სხვა ჩვეულებრივ პირობებში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ირაკლი ოქრუაშვილის ქმედება ვერ დააკვალიფიცირდებოდა ვერც სსკ-ის 126-ე მუხლით<sup>26</sup>, რადგან ამ ნორმით გათვალისწინებულია, რომ დასჯადია მხოლოდ იმგვარი ზემოქმედება, რომელიც ფიზიკურ ტკივილს იწვევს. ამასთან, იმ უამრავი ადამიანიდან, ვისთან ერთადაც ირაკლი ოქრუაშვილი „ჯგუფურ ძალადობაში“ მონაწილეობდა, სამართალდამცავებმა მხოლოდ ოქრუაშვილი შეარჩიეს ბრალდებულად და დააკავეს. შესაბამისად, მხოლოდ მის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, მიუხედავად იმისა, რომ მის გარშემო მყოფი აქციის სხვა მონაწილეების იდენტიფიცირებაც სავსებით შესაძლებელი იყო. მსგავსი მიდგომით ირაკლი ოქრუაშვილის სისხლის სამართლის წესით დევნა, შეიძლება, პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციადაც შეფასდეს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ირაკლი ოქრუაშვილის დაპატიმრებამდე რამდენიმე დღით ადრე, სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივით, როგორც

---

<sup>25</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

<https://bit.ly/2VSlmmp>.

<sup>26</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლი. <https://bit.ly/2VSlmmp>.

გაფრთხილების ნიშანი, დააკავეს მისი პირადი მძღოლი და ოჯახის ახლობელი, კობა კომაძე.

2019 წ. 19 ნოემბერს ირაკლი ოქრუაშვილს ახალი ბრალდება (ე.წ. ამირან (ბუტა) რობაქიძის საქმე) პენიტენციურ დაწესებულებაში წარედგინა. საქართველოს პროკურატურა ოქრუაშვილს 2004 წელს მისი შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს მომხდარ დანაშაულთან დაკავშირებით უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას ედავება<sup>27</sup>. ბრალდების წარდგენა სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის 15-წლიანი ვადის გასვლამდე რამდენიმე დღით ადრე მოხდა. სახელმწიფო ბრალდებამ სისხლის სამართლის კოდექსის ის რედაქცია გამოიყენა, რომელიც 2004 წლის 11 ნოემბრის შემდეგ, ყველაზე მეტად აუარესებს ბრალდებულის მდგომარეობას<sup>28</sup> და ა.შ.

### 3) გიორგი რურუას წინააღმდეგ მიმდინარე საქმე

ამ სისხლის სამართლის საქმეში, სასამართლო მონიტორინგისას და სისხლის სამართლის საქმის მასალების შესწავლით გამოიკვეთა, რომ ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და მენილე გიორგი რურუას, პირადი ჩხრეკისა და სხვადასხვა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარებისას, არამართლზომიერად შეეზღუდა საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო აქტებით გარანტირებული უფლებები და თავისუფლებები. კერძოდ: ბრალდებულს დაკავებისას არ მიეცა ადვოკატთან და ოჯახის წევრებთან დაკავშირების შესაძლებლობა<sup>29</sup>. დაცვის უფლება სამართლიანი სასამართლოს არსებითი ელემენტია და, ზოგადად, გულისხმობს პირთა შესაძლებლობას, „წარადგინონ მტკიცებულებები, გამოთქვან

---

<sup>27</sup> იხ.: ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება: <https://bit.ly/2M3rAul>.

<sup>28</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 2004 წლის 11 ნოემბრის რედაქციით.

<sup>29</sup> იხ.: საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი: <https://bit.ly/38KDCNF>. ასევე, იხ.:

იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1990 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე van der Leer v. NLD, განაცხადი 11509/85, 27-ე პუნქტი. იხ. ასევე: Grabenwarter/ Pabel, 2012, გვ. 205.

მოსაზრებები, დაიცვან თავი პირადად ან დამცველის მეშვეობით<sup>30</sup>. ეს უფლება შეეხება მათ, ვის მიმართაც ტარდება პროცესუალური ზომები და აქვთ ასეთ ღონისძიებებზე ზეგავლენის ან/და მათი უარყოფითი შედეგებისგან თავის დაცვის სამართლებრივი ინტერესი.

ასევე, დაკავებულისთვის უფლება-მოვალეობები არ განუმარტავთ<sup>31</sup>, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული პირდაპირი მოთხოვნაა<sup>32</sup>; სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის<sup>33</sup> დარღვევებით<sup>34</sup> ჩატარდა გიორგი რურუას როგორც პირადი, ისე ავტომატური ჩხრეკაც<sup>35</sup>; პირადი ჩხრეკის ოქმის შედგენისა და ცეცხლსასროლი იარაღის დალუქვისას დარღვეულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები; საქმეში არსებული საპროცესო დარღვევები, სხვადასხვა ექსპერტიზის დასკვნასთან ერთად, ეჭვქვეშ აყენებს გიორგი რურუას ცეცხლსასროლი იარაღთან შემხებლობასა და მტკიცებულების ავთენტურობას; არაერთი ფაქტი ცეცხლსასროლი იარაღის მაცურის წარმომავლობის საეჭვო გარემოებებზე მიუთითებს; გამომძიებელმა არაერთი საგამოძიებო

---

<sup>30</sup> იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება №3/1/574 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-61. <https://bit.ly/2UxenyV>.

<sup>31</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ გიორგი რურუას საქმის მონიტორინგის შესახებ მომზადებული ანგარიშები. არსებითი განხილვა: 10.02.2020

<sup>32</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლი. <https://bit.ly/2InKluz>.

<sup>33</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 121-ე მუხლი. <https://bit.ly/2InKluz>.

<sup>34</sup> იხ.: ასევე, იხ.: 8 იხ. Guide on Article of the European Convention on Human Rights (Right to respect for private and family life, home and correspondence), European Court of Human Rights, 2019, Article 8. გვ: 88. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2YRHdWk>.

<sup>35</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე და 120-ე (6) მუხლები. <https://bit.ly/2InKluz>. ასევე - ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ, გიორგი რურუას საქმის მონიტორინგის შესახებ მომზადებული ანგარიში. არსებითი განხილვა: 10/03/2020.

მოქმედება ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობის გარეშე ჩაატარა<sup>36</sup>.

2019 წლის 25 დეკემბერს ბრალდებულ გიორგი რურუას კიდევ ერთი ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, რაც სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობას და მისი შესრულებისათვის ხელის შეშლის გულისხმობს<sup>37</sup>. საქმე ეხება პენიტენციურ დაწესებულებაში გიორგი რურუას უარს, სასამართლო განჩინების საფუძველზე ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედების - დნმ-ის ნიმუშისა და ხელის კვლების აღებასთან დაკავშირებით<sup>38</sup>. გიორგი რურუას მიმართ ბრალის დამძიმება კონსტიტუციურ საფუძვლებს მოკლებულია. ამასთან, სისხლის სამართლის მიზნებითაც გაუმართლებელია. ბრალდებულისთვის ბრალის დამძიმების საფუძველი ის ფაქტი გახდა, რომ მან ნიმუშის აღებაში მონაწილეობა არ მიიღო, რისი უფლებაც მას საქართველოს კონსტიტუციით<sup>39</sup> და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დოკუმენტებით გააჩნია. ამ კვალიფიკაციით დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა უგულებელყოფს თვითინკრიმინაციის იძულებისაგან დაცვის პრივილეგიას, რაც სამართლიანი სასამართლოს

---

<sup>36</sup> იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის №1/2/503,513 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ლევან იზორია და დავით-მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-55. <https://bit.ly/3hhsQIS>; ასევე, იხ.: იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის № 2/3/182,185,191 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევამ ჭიმშელიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, მე-2 პუნქტი.

<sup>37</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილი: <https://bit.ly/3ilAbl3>.

<sup>38</sup> იხ.: „გიორგი რურუას სისხლის სამართლის საქმე სამართლებრივი ანალიზი“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი: <https://bit.ly/2CkSOfd>; ასევე, იხ.: იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2BYs1EI>.

<sup>39</sup> იხ.: საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტი. <https://bit.ly/38KDcNF>; ასევე, იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 147-ე და 148-ე მუხლები: <https://bit.ly/2MLKcjh>.

უფლების დარღვევას წარმოადგენს. ასევე, პრობლემურია ნიშუბის ასაღებად იძულების პროპორციული ზომების გამოყენების საკითხი<sup>40</sup>.

აღსანიშნია, რომ გიორგი რურუს დაკავებას წინ უძღოდა 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენები და მასშტაბური ანტისაოკუპაციო აქციები. გავრცელებული ინფორმაციით<sup>41</sup>, გიორგი რურუა, სწორედ ამ აქციებისა და ოპოზიციური ტელეკომპანიის - „მთავარი არხის“ დაფინანსების გამო დააპატიმრეს.

გიორგი რურუს დაკავებას და მის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეს, ირაკლი ოქრუაშვილისა და გიორგი უგულავას საქმეებთან ერთად, მალევე მოჰყვა პოლიტიკური შეფასებები<sup>42</sup> როგორც სხვადასხვა ოპოზიციური პარტიის, ისე საერთაშორისო პარტნიორების, განსაკუთრებით კი - აშშ-ის სენატორებისა და კონგრესმენების მხრიდან.

#### 4) ნიკა გვარამიას წინააღმდეგ მიმდინარე საქმე

ნიკა გვარამია ტელეკომპანია რუსთავის 2“-ის ყოფილი გენერალური დირექტორი და ახლადშექმნილი „მთავარი არხის“ დამფუძნებელია. მოცემულ საქმეში, პროკურატურის მიერ ნიკა გვარამიასთვის წარდგენილი ბრალდება არ შეიცავს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის საკმარის მკაფიო ნიშნებს. ნიკა გვარამიას ბრალდების შინაარსი შპს „სამაუნწყებლო ტელეკომპანია რუსთავი 2-ის“ დირექტორობის პერიოდში მის მიერ მიღებული სამეწარმეო გადაწყვეტილების არამომგებიანობაზეა დაფუძნებული. საწარმოსთვის არამომგებიანი ხელშეკრულების დადება და მაქსიმალური თანხის არმიღება, პროკურატურის პოზიციით, საწარმოს ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგოდ გაფლანგვას წარმოადგენს.

---

<sup>40</sup> იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „Detlef-Harro Schmidt against Germany“, 2006. <https://bit.ly/3cPvlt0>.

<sup>41</sup> იხ.: ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/31E2ueS>. ბოლოს ნანახია: 08.12.2020.

<sup>42</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/37seofj>; ასევე, იხ. <https://bit.ly/3hrbiKF>.

განსახილველი სადავო ქმედებების სისხლის სამართლის დანაშაულად მიჩნევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, უცნობია, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ მიანიჭა თუ არა საფუძვლიანი მნიშვნელობა ბრალდებულის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის გადამწყვეტ გარემოებებს. ამ ასპექტებს შეეძლო, გარდამტეხი მნიშვნელობა ჰქონოდა სადავო ქმედებების სისხლის სამართლის დანაშაულად არმიჩნევისა და ბრალდებულის უდანაშაულობის განსაზღვრაში; სისხლის სამართლის საქმეში სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფარგლები სრულიად გაუგებარია და სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოს მხრიდან თვითნებურად არის განმარტებული ბრალდებულის საზიანოდ. საქმის მასალებიდან არ ჩანს, პროკურატურამ იმსჯელა თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული სამართლებრივი გზების გამოყენების შესახებ; ასევე - ყურადღება არ მიაქცია იმ ფაქტს, რომ დირექტორის გადაწყვეტილებები შეთანხმებული და მონონებული იყო პარტნიორებთან, აქციონერებთან და დირექტორის გონივრული მოსაზრებით, მოკლე ან გრძელვადიანი რისკების ანალიზის შედეგად, იგი ემსახურებოდა კორპორაციის საუკეთესო ინტერესებს, რაც ასევე შეთანხმებული იყო ზემოაღნიშნულ სუბიექტებთან.

საქმეში არ არის დაცული სამართლებრივი განსაზღვრულობისა და თვითნებობისგან დაცვის პრინციპები, რომლებიც კონვენციისა და კანონის უზენაესობის საერთო საფრთხედ მიიჩნევა. სისხლის სამართლის კანონის თვითნებურად გამოყენება კი ის შემთხვევაა, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მხრიდან დეტალური შემოწმების საგანი გახდება, განსაკუთრებით ოპოზიციური განწყობების მქონე და პოლიტიკურად აქტიური პირების საქმეებთან მიმართებით და შედეგად ევროპული კონვენციის მე-6 (საქმის

სამართლიანი განხილვის უფლება) ან მე-7 (არავითარი სასჯელი კანონის გარეშე) მუხლის დარღვევას გამოიწვევს<sup>43</sup>.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, სასამართლომ სიღრმისეულად უნდა იმსჯელოს და შეათვასოს, რამდენად წარმოადგენს სადავო ქმედება სისხლისსამართლებრივ დანაშაულს თუ ის განხილული უნდა იყოს საკორპორაციო-სამართლებრივ ჭრილში. სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ბრალდების შინაარსი, მისი განხორციელება დროსა და სივრცეში, ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოს მხრიდან განხორციელებული ქმედებები (მათ შორის - სისხლისსამართლებრივი ნორმის თვითნებური განმარტება) და სხვა ფაქტობრივი გარემოებები, რაც ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებს შერჩევითი სამართლის შესაძლო გამოყენებაზე, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე პირის მიმართ.

## 5) საქმეები ნიკანორ მელიას წინააღმდეგ

2019 წლის 25 ივნისს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ პარლამენტს ნიკანორ მელიას სადეპუტატო მანდატის მოხსნის მოთხოვნით მიმართა<sup>44</sup>. საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლისა<sup>45</sup> და პარლამენტის რეგლამენტის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის<sup>46</sup> შესაბამისად, პარლამენტის წევრის დაპატიმრება შესაძლებელია მხოლოდ პარლამენტის წინასწარი თანხმობით. ამის გათვალისწინებით, სასამართლოსთვის ნიკანორ მელიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მიზნით, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს პარლამენტს მიმართა თხოვნით, რომ

---

<sup>43</sup> იხ.: European Convention on Human Rights, Article 6-7. <https://bit.ly/3iOnFjs>.

<sup>44</sup> იხ.: 9 იხ. საქართველოს გენერალური პროკურორის მიმართვა N013/4 საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს, ქ.-ნ თამარ ჩუგოშვილს. 25.06.2019 წელი: <https://bit.ly/2UqlhGi>. ბოლოს ნანახია: 08.12.2020.

<sup>45</sup> იხ.: საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლი: <https://bit.ly/3dHBHle>.

<sup>46</sup> იხ.: საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილი: <https://bit.ly/3dMSEKQ>.

გაეცა კანონით გათვალისწინებული თანხმობა მისი დაპატიმრების თაობაზე<sup>47</sup>.

ნიკანორ მელიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ პროკურატურის მოთხოვნა შაბლონური იყო და მასში საკმარისად არ იყო დასაბუთებული, რატომ უნდა ყოფილიყო გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების უკიდურესი ფორმა - წინასწარი პატიმრობა<sup>48</sup>. გარდა ამისა, დასაბუთება არ ახლავს პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებას, ნიკანორ მელიასთვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეზღუდვის, ხოლო შემდგომ - თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებულ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ განჩინებას<sup>49</sup>.

გენერალური პროკურატურის მიერ არგუმენტების გასამყარებლად მოყვანილი იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECHR) რამდენიმე საქმე, რომელთა უმრავლესობა არათუ ფაქტობრივი გარემოებებით, არამედ ზოგადი დასაბუთების სტანდარტითაც კი არ მიესადაგება ნიკანორ მელიას საქმეს<sup>50</sup>. თბილისის საქალაქო სასამართლომ, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეზღუდვისას, არ გაითვალისწინა საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლო მეგობრის მოსაზრებაში<sup>51</sup> აღნიშნული არაერთი დასაბუთებული შეფასება; შედეგად, არათანაზომიერად შეიზღუდა ნიკანორ მელიას, როგორც პარლამენტის წევრის, უფლებები. თბილისის საქალაქო

---

<sup>47</sup> იხ.: საქართველოს გენერალური პროკურორის მიმართვა N013/4 საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს, ქ.-ნ თამარ ჩუგოშვილს. 25.06.2019 წელი: <https://bit.ly/2UqlhGi>. ბოლოს ნანახია: 08.12.2020.

<sup>48</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის შემაჯამებელი ანგარიში ნიკანორ მელიას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე. 29.02.2020.

<sup>49</sup> იქვე.

<sup>50</sup> იხ.: საქმე Wettstein v. Switzerland, 26 იანვარი, 1993, პარაგრაფი 33; სტრასბურგი, 2000 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება: <https://bit.ly/2zdaWG7>; იხ. საქმე Barfuss v. the Czech Republic, 1 აგვისტო, სტრასბურგი, 2000; <https://bit.ly/2ASinTv>; იხ. საქმე Punzelt v. the Czech Republic, 25 აპრილი, სტრასბურგი, 2000; ასევე იხ. „კონრადი იტალიის წინააღმდეგ“, 2000.

<sup>51</sup> იხ.: საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება სასამართლოს მეგობრის მოსაზრების შესახებ ნიკანორ მელიას საქმეზე: <https://bit.ly/37azv34>; ასევე, იხ.: სასამართლოს მეგობრის მოსაზრება ნიკანორ მელიას საქმეზე: <https://bit.ly/30i8Vnj>.



სასამართლომ და სააპელაციო სასამართლომ, საქმის განხილვისას, ერთიან კონტექსტში არ განიხილა საქართველოს კონსტიტუციით, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობითა და პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნები. ამასთან, საერთოდ არ მიიღო მხედველობაში პარლამენტის წევრის იმუნიტეტისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები<sup>52</sup>.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ, 2019 წლის 2 ივლისის განჩინებით, პროკურატურას ნიკა მელიას გადაადგილებაზე ელექტრონული მონიტორინგის წარმოება დაავალა, სპეციალური სამაჯურის დამაგრებით. 2020 წლის 1-ლ ნოემბერს კი, საქართველოს პარლამენტთან, ოპოზიციური პარტიების საპროტესტო აქციაზე, ნიკა მელიამ სიტყვით გამოსვლისას აღნიშნული ელექტრონული სამაჯური მოიხსნა, გადაადგო და აღნიშნა, რომ მის ტარებას აღარ აპირებდა.

2020 წლის 3 ნოემბერს, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ნიკა მელიას მიერ აღკვეთის ღონისძიების პირობების დარღვევის - გადაადგილებაზე ელექტრონული მონიტორინგის წარმოების მიზნით, სამაჯურის მოხსნის გამო, სასამართლოს მისთვის უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით მიმართა. კერძოდ, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ნიკა მელიასთვის აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს - 100 000 ლარის ოდენობით შეფარდებას და სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის შეზღუდვის დაწესებას მოითხოვა. თბილისის საქალაქო სასამართლომ, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების კანდიდატს, ნიკა მელიას, ელექტრონული სამაჯურის ტარების ვალდებულება მოუხსნა, აღკვეთის ღონისძიების სახე შეუცვალა და გირაოს ოდენობა 30 ათასიდან 70 ათას

---

<sup>52</sup> იხ.: ვენეციის კომისიის 2014 წლის 14 მაისის ანგარიში: <https://bit.ly/2MHk9cQ>

ლარამდე გაუზარდა. გარდა ამისა, შეუზღუდა საზღვრის კვეთის უფლება პროკურორის თანხმობის გარეშე<sup>53</sup>.

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ, ნიკა მელიას წინააღმდეგ დაწყებული სამართალწარმოება ადამიანის უფლებათა ცენტრმა შეათვასა როგორც არაკანონიერი და უსაფუძვლო<sup>54</sup>. კერძოდ, საქართველოს საარჩევნო კოდექსით განსაზღვრულია საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატის ხელშეუხებლობის გარანტიები. ამავე კოდექსის 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი ცესკოს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებამდე, ხოლო მის მიერ საქართველოს პარლამენტის წევრად არჩეულად გამოცხადებული პირი – მისი უფლებამოსილების ცნობის საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე არ შეიძლება დააკავონ, დააპატიმრონ ან გაჩხრიკონ, თუ საქართველოს გენერალური პროკურორის წარდგინებაზე არ იქნა ცესკოს თანხმობა. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ცესკოს.

თუ ცესკო მიიღებს სათანადო განკარგულებას, დაკავებული ან დაპატიმრებული საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს. შესაბამისად, ნიკა მელიას, როგორც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პარლამენტის წევრობის კანდიდატის მიმართ სამართალწარმოების დაწყება - არაკანონიერი იყო. ამასთან, ცესკოს განკარგულებას ზემოთ მითითებულ მუხლში აღნიშნული თანხმობის მიცემის შესახებ კენჭი უნდა ეყაროს საქართველოს გენერალური პროკურორის წარდგინების მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში, რაც პროკურატურის მხრიდან არ განხორციელებულა. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში,

---

<sup>53</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ, ნიკანორ მელიას საქმის მონიტორინგის შესახებ მომზადებული ანგარიში. არსებითი განხილვა: 03.11.2020, 17:39 – 19:50 საათი. ასევე, იხ., <https://bit.ly/3qGtdSg>.

<sup>54</sup> იხ.: ადამიანის უფლებათა ცენტრის სამართლებრივი შეფასება ნიკა მელიას საქმეზე: <https://bit.ly/3ndUtW3>.

კანონის ეს მოთხოვნაც უგულებელყოფილია. აქედან გამომდინარე, საპარლამენტო არჩევნების პარლამენტის წევრობის კანდიდატის მიმართ, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი მოცემულობის და მოთხოვნების დაცვის გარეშე სამართალწარმოების დაწყება არაკანონიერია.

ასევე, დანაშაულზე წასწრებისა და ცესკოს თანხმობის არსებობის შემთხვევაში, პროკურატურას არა უკვე გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახის - გირაოს, არამედ უფრო მკაცრი ღონისძიების ვალდებულება აქვს, ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, თუ ბრალდებულმა, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიებად შერჩეულია გირაო, დაარღვია ამ ღონისძიების გამოყენების პირობა ან კანონი, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით გირაო შეიცვლება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით. აქედან გამომდინარე, გენერალურ პროკურატურას აღკვეთის ღონისძიების ალტერნატიულ სახედ, არა ღონისძიების იმავე სახის - გირაოს - 100 000 ლარის ოდენობით შეფარდება უნდა მოეთხოვა, არამედ - პატიმრობა, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლით. აღნიშნულს კი ვერ განახორციელებდა საქართველოს საარჩევნო კოდექსის 122-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატის ხელშეუხებლობის გარანტიებს.

შესაბამისად, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 122-ე მუხლისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-7 ნაწილის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ნიკა მელიას მიმართ დაწყებული სამართალწარმოება სამართლებრივად უსაფუძვლო და არაკანონიერია<sup>55</sup>.

---

<sup>55</sup> იხ.: ადამიანის უფლებათა ცენტრის სამართლებრივი შეფასება ნიკანორ მელიას საქმეზე: <https://bit.ly/36VQDuU>.

6) 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის სხვა საქმეები (ჯავახიშვილის, დათაშვილის, თამლიანის, ბუდალაშვილის, კუპრეიშვილის, მაჩალიკაშვილის, სოსელიას სისხლის სამართლის საქმეები)

## აღკვეთის ღონისძიების შეფარდების პრაქტიკა

2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეებში, ბრალდების მხარის მტკიცებულებები საკმარისი არ არის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლებისთვის. შესაბამისად, სასამართლოს გადანყვეტილებები აბსტრაქტული და დაუსაბუთებელია. წინასწარი პატიმრობის შესახებ პროკურატურის შუამდგომლობები უმეტესად შაბლონურია და მხოლოდ ზოგად მსჯელობას ემყარება. ზოგ საქმეზე მიკერძოებული და ტენდენციურია შსს-ს<sup>56</sup> მიერ მტკიცებულებად გამოყენებული და საჯაროდ გავრცელებული, ფრაგმენტებად დამონტაჟებული ვიდეოები, რომლებიც განსხვავდება იმავე შემთხვევებზე მედიით გავრცელებული სრული ვიდეომასალებისაგან<sup>57</sup>.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილი აღგენს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის მტკიცებულებათა სტანდარტს<sup>58</sup>. კერძოდ, პირს რომ აღკვეთის ღონისძიება შეეფარდოს, უნდა არსებობდეს დასაბუთებული ვარაუდი - ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც სისხლის

<sup>56</sup> მაგალითად, იხ.: შსს-ს მიერ ბეჟან ლორთქიფანიძის საქმეზე გავრცელებული ვიდეო: <https://bit.ly/2C5odSm>. ბოლოს ნანახია: 08.12.2020. ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ, ბესიკ თამლიანის, ზურაბ ბუდალაშვილის, კახაბერ კუპრეიშვილისა და ცოტნე სოსელიას საქმის მონიტორინგის შესახებ მომზადებული ანგარიში. 29.02.2020.

<sup>57</sup> იხ.: ბეჟან ლორთქიფანიძის საქმეზე მედიით გავრცელებული სრული ვიდეოჩანაწერი: <https://bit.ly/2zAeYc0>. ბოლოს ნანახია: 08.12.2020.

<sup>58</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილი. <https://bit.ly/2MLKcjh>.

სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა.

მოცემულ სისხლის სამართლის საქმეებში, საქართველოს პროკურატურის მიერ წარმოდგენილი საქმის მასალები ვერ ქმნიან დასაბუთებულ ვარაუდს, რომ მსჯავრდებულები/ბრალდებულები მონაწილეობდნენ ჯგუფურ ძალადობაში, მით უფრო - თავს ესხმოდნენ ადგილზე მყოფ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს. პირის ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობის დადასტურების მიზნით, პროკურატურა უნდა ფლობდეს იმგვარ მტკიცებულებებს, რომლებიც აშკარად აჩვენებს პირის განზრახვას, იყოს ჯგუფური ძალადობრივი ქმედებების მონაწილე, თავს დაესხას სამართალდამცველებს და თავისი მოქმედებებით ხელი შეუწყოს ჯგუფურ მოქმედებებს. მოცემულ შემთხვევაში, ბრალდების შესახებ შუამდგომლობაში და საქმის მასალებში მითითებული ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა - მონშეთა გამოკითხვის ოქმები, ჩხრეკისა და ამოღების ოქმები, დათვალიერების ოქმები, ექსპერტიზის დასკვნები, ზოგადი ხასიათის მატარებელია და არ წარმოადგენს საკმარის ფაქტობრივ საფუძვლებს არათუ მსჯავრდებისათვის, არამედ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებისათვის.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი<sup>59</sup>, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო<sup>60</sup> აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მნიშვნელოვან გარემოებებად მიიჩნევს მიმალვის, მტკიცებულებების განადგურების, მონშეებზე ზემოქმედების გზით საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლის და დანაშაულებრივი საქმიანობის

---

<sup>59</sup> იხ.: იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლი.  
<https://bit.ly/2MLKcjh>.

<sup>60</sup> იხ.: გადანყვეტილება Van Alphen v. the Netherland, 305/1988, სტრასბურგი. 1990 წლის 23 ივლისი: <https://bit.ly/3h6MeIx>.

გაგრძელების საფრთხეებს. პატიმრობა, ასევე, გამართლებულია, როდესაც ბრალდებული აშკარა და მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის საზოგადოებას და ეს საფრთხე შეუძლებელია, სხვაგვარად იქნას განეიტრალებული. მსგავსი გარემოებები და ფაქტორები მოცემულ სისხლის სამართლის საქმეებში არ არსებობდა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს სსკ-ის 205-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული: ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლა; ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა; ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა<sup>61</sup>. ეს რისკები კი, ბრალდების მხარის მიერ, თითოეულ ზემოაღნიშნულ საქმეში, სრულიად დაუსაბუთებელია.

2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით პასუხისგებაში მიცემული სამართალდამცველებისა და დემონსტრანტების საქმეების შედარებითი ანალიზით ირკვევა, რომ სახელმწიფოს მხრიდან ხშირად ვლინდება დიფერენცირებული დამოკიდებულება ერთნაირი შემთხვევების მიმართ, გონივრული და ობიექტური საფუძვლების გარეშე, რაც გამოიხატება დემონსტრაციაში მონაწილე პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დანყებასა და მათ დაპატიმრებაში, როცა ბრალდების მხარის შაბლონური, აბსტრაქტული და ხშირად, სრულიად იდენტური შუამდგომლობებისა და სასამართლოების მიერ მათი გაზიარებით მიღებული, დაუსაბუთებელი განჩინებებით, ყოველი დემონსტრანტის მიმართ გამოიყენებულა წინასწარი პატიმრობა<sup>62</sup>.

---

<sup>61</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლი.

<https://bit.ly/2MLKcjh>.

<sup>62</sup> აღამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ მომზადებული ყოფილი სპეცრაზმელების წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის მონიტორინგის შემაჯამებელი ანგარიში. 31.05.2020.

## „სირცხვილიას“ აქტივისტების საქმე

*(სამართლებრივი შეფასება)*

2020 წლის 10 და 11 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გაიმართა 9 ნოემბერს დაკავებულ „სირცხვილიას“ აქტივისტების საქმის პირთა სასამართლო სხდომები<sup>63</sup>. მხარეებმა წარმოადგინეს მტკიცებულებები, რითაც სავარაუდოდ დადასტურდებოდა სამართალდარღვევის ფაქტი ან შეწყდებოდა მიმდინარე ადმინისტრაციული საქმე.

შსს-მ სასამართლო პროცესზე მტკიცებულების სახით წარმოადგინა მასმედიის საშუალებით გასული პირდაპირი ეთერის ვიდეოკადრები ალექსი მაჭავარიანის მიერ სავარაუდო სამართალდარღვევის ფაქტთან, ასევე - მის დაკავებასთან დაკავშირებით. ნოდარ რუხაძის დაკავებასთან დაკავშირებით შსს-მ მტკიცებულების სახით მხოლოდ მისი დამკავებელი პოლიციელების ჩვენებები წარმოადგინა. გიორგი მუჟაფანაძესთან დაკავშირებით კი პროცესზე წარმოდგენილი იყო მისი დაკავების ამსახველი ტელევიზიების პირდაპირი ეთერის ვიდეოკადრები, ასევე - პოლიციელთა ჩვენებები. ნოდარ რუხაძის და გიორგი მუჟაფანაძის სავარაუდო სამართალდარღვევის ფაქტის ამსახველი მტკიცებულებები (სამხრე კამერის ჩანაწერები ან სხვა სახის ვიდეომტკიცებულება) შსს-ს მიერ არ იყო წარმოდგენილი.

პროცესზე დაცვის მხარემ აღნიშნა, რომ სამართალდარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია არც ერთი დაკავებულის მხრიდან. დაკავებები ატარებდა პრევენციულ ხასიათს და არანაირი დაკავების საფუძველი არ არსებობდა. მაჭავარიანის ბრალთან მიმართებით, განხილვის საგანს წარმოადგენდა, საპროტესტო აქციაზე გათბობის მიზნით ცეცხლის დასანთებად მიტანილი შეშა რამდენად წარმოადგენდა საქართველოს

---

<sup>63</sup> იხ.: ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება: <https://bit.ly/3oFYhj7>.

კანონის - „შეკრებებისა და მანიფესტაციის შესახებ“ მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ აკრძალულ საგანს. ასევე, მსჯელობის საგანი იყო, პოლიციელის მოთხოვნა რამდენად იყო კანონიერი და რაში გამოიხატა დაკავებულის დაუმორჩილებლობა. რუხაძის და მუჟაფანაძის ბრალთან მიმართებით მნიშვნელოვანი გარემოება იყო - რაში გამოიხატა, ერთი მხრივ, წვრილმანი ხულიგნობა და მეორე მხრივ, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა ან ამ პირის სიტყვიერი შეურაცხყოფა.

დაცვის მხარემ პროცესზე განაცხადა, რომ დაკავებული გიორგი მუჟაფანაძის მიმართ, შსს-ს საპატრულო პოლიციის ეზოში მიყვანისას, პოლიციელთა მხრიდან განხორციელდა ფიზიკური ძალადობა. ადვოკატის მიმართვის საფუძველზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაიწყო გამოძიება. ფაქტთან დაკავშირებით გამოიკითხა გიორგი მუჟაფანაძე და დანიშნულია ექსპერტიზა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სამივე დაკავებული ცნო სამართალდარღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენაში.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ალექსი მაჭავარიანი დაჯარიმდა 1000 ლარის ოდენობით<sup>64</sup>.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ნოდარ რუხაძე დაჯარიმდა 1500 ლარის ოდენობით<sup>65</sup>.

---

<sup>64</sup> იხ.: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი.  
<https://bit.ly/2W2OMOS>.



საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისთვის გიორგი მუჟაფანაძეს შეეფარდა 3 დღით ადმინისტრაციული პატიმრობა<sup>66</sup>.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ იკვეთებოდა დაკავებულ პირთა მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი. სასამართლოს გადანაცხვებილება არ ემყარება მტკიცებულებათა ერთობლიობას. მოსამართლე დაეყრდნო პატრულ-ინსპექტორების ჩვენებებს, რომლებიც არ იყო გამყარებული უშუალოდ სამართალდარღვევის ფაქტის ამსახველი ვიდეომტკიცებულებებით.

## საპროცესო შეთანხმებების დადების პრაქტიკა

მონიტორინგის ფარგლებში, ნათლად გამოჩნდა საპროცესო შეთანხმების გამოყენების პრაქტიკაში არსებული ხარვეზები და ის თავისებურებები, რითაც ეს მექანიზმი ქართულ მართლმსაჯულებაში დამკვიდრდა. საპროცესო შეთანხმებების დადების კვლევის მიზანი იყო კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეების და საპროცესო შეთანხმების პირობების გაანალიზება. ასევე, მიზანი იყო პრაქტიკისა და საინტერესო პრეცედენტების კვლევა, რამაც წინამდებარე დოკუმენტში შეფასებულ საქმეებში აჩვენა საპროცესო შეთანხმების პრობლემური გამოყენების შემთხვევები. 20-21 ივნისის მოვლენების დროს დაკავებული პირები, ძირითადად, საპროცესო შეთანხმებების საფუძველზე ან გირაოს სანაცვლოდ განთავისუფლდნენ პატიმრობიდან<sup>67</sup>.

---

<sup>65</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლები. <https://bit.ly/2W2OMOS>.

<sup>66</sup> იგივე.

<sup>67</sup> იხ.: ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის ანგარიში 20-21 ივნისის საქმეზე დაკავებული პირების შესახებ. არსებითი განხილვა: 20.11.2019, 16:10- 16:12 საათი; ასევე, იხ.:

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლის შესაბამისად, საპროცესო შეთანხმება გულისხმობს განაჩენის გამოტანას საქმის არსებითი განხილვის გარეშე, როდესაც ბრალდებული დანაშაულს აღიარებს და მიღწეულია შეთანხმება ბრალსა ან სასჯელზე<sup>68</sup>. ზემოაღნიშნულ საქმეებში, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ბრალდებულებს ხშირად აშკარად კაბალურ პირობებზე უწევდათ დათანხმება, რადგან სასამართლო პროცესების გაჭიანურებისა და ხანგრძლივი ვადებიდან გამომდინარე, მათ ისეთი დანაშაულის აღიარება უწევდათ, რომელიც, შესაძლოა, არც ჩაუდენიათ და ამასთან, პოლიციელთა ჩვენებების გარდა, ნეიტრალური მტკიცებულებებიც არ არსებობს. ამ არჩევანის წინაშე ბრალდებულები განსაკუთრებით მაშინ დგებოდნენ, როცა მათ მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იყო პატიმრობა. სასამართლოები, ძირითადად, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა ინფორმაციას ეყრდნობოდნენ, რომლებსაც, ბრალდების მხარე, მოწმეების სახით კითხავს სასამართლოს პროცესზე. მათ ჩვენებებს კი, სასამართლოები, უმეტეს შემთხვევაში, უტყუარ მტკიცებულებებად მიიჩნევენ.

შესწავლილ საქმეებში იკვეთებოდა შემთხვევები, როცა ადგილი ჰქონდა მცირე მნიშვნელობის სისხლისსამართლებრივ გადაცდომებს. თუმცა ასეთ შემთხვევებშიც, პროკურატურის მოთხოვნით, სასამართლო ამტკიცებდა საპროცესო შეთანხმებას. საპროცესო შეთანხმება ბრალდებულისთვის წარმოშობს ისეთ კონკრეტულ ნეგატიურ სამართლებრივ შედეგებს, როგორცაა მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, ნასამართლობა, სოციალური სტიგმა და სხვა. რიგ შემთხვევებში, უცნაურ პრეცედენტებს წარმოადგენდა იმ ტიპის განაჩენები, რომლებიც შეეხებოდა მცირე მნიშვნელობის დანაშაულს და ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლებისა თუ წარსულის

---

„2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი ანალიზი“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი: <https://bit.ly/2XUIHFh>.

<sup>68</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლი. <https://bit.ly/2MLKcjh>.

მიუხედავად, ნაცვლად ალტერნატიული სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებისა, ადგილი ჰქონდა საპროცესო შეთანხმების გაფორმებას. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ სასამართლოს უფლება აქვს, შესთავაზოს მხარეებს, შეცვალონ საპროცესო შეთანხმების პირობები, რაც ზემდგომ პროკურორთან უნდა იყოს შეთანხმებული<sup>69</sup>. ბრალდებულს აქვს უფლება, განაჩენის გამოტანამდე ნებისმიერ ეტაპზე უარი თქვას საპროცესო შეთანხმებაზე, მაგრამ სასჯელის ზომის შეთავაზებისას პროკურორს ენიჭება ფართო დისკრეცია<sup>70</sup>. ხოლო მოსამართლეს, იმის გათვალისწინებით, რომ არა აქვს უფლება, ჩაერიოს მოლაპარაკების პროცესში და დამოუკიდებლად, მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, შეცვალოს შეთანხმების პირობები<sup>71</sup>, შეუძლია, მხოლოდ დაამტკიცოს საპროცესო შეთანხმება ან უარი თქვას მის დამტკიცებაზე<sup>72</sup>.

სსკ-ის მე-7 მუხლის თანახმად<sup>73</sup>, „დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც ფორმალურად შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩადენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლას“. მოცემული დებულება, როგორც სახელმძღვანელო პრინციპი, მიუთითებს განსაკუთრებით მცირე მნიშვნელობის დანაშაულების მიმართ ნაკლებად მკაცრი მიდგომის აუცილებლობაზე. ამასთან ერთად, პროკურორი, სსკ-ის თანახმად, სარგებლობს დისკრეციული დევნის უფლებამოსილებით, რაც მას შესაძლებლობას აძლევს, ამ ტიპის საქმეებში უარი თქვას სისხლისსამართლებრივი დევნაზე ან/და მიმართოს დევნის ალტერნატიულ ღონისძიებებს.

---

<sup>69</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლის პირველი ნაწილი. <https://bit.ly/2MLKcjh>.

<sup>70</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლის მეორე ნაწილი. <https://bit.ly/2MLKcjh>.

<sup>71</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლის მეექვსე ნაწილი. <https://bit.ly/2MLKcjh>

<sup>72</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლის მესამე პრიმა ნაწილი. <https://bit.ly/2MLKcjh>.

<sup>73</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლი. <https://bit.ly/3gpLTke>.

საპროცესო შეთანხმების მექანიზმზე მსჯელობისას უნდა ითქვას, რომ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება სასამართლოს ეკუთვნის. სწორედ მოსამართლე უნდა იყოს გარანტი იმისა, რომ საპროცესო შეთანხმება ბრალდებულის საზიანო და უსამართლო პირობებით არ დაიდოს. საქმეთა ანალიზის დროს გამოიკვეთა, რომ სასამართლოებს არაერთგვაროვანი მიდგომა აქვთ წარდგენილი მტკიცებულებების სანდოობის, კანონიერებისა და შეფარდებული ძირითადი თუ დამატებითი სასჯელის სამართლიანობის შეფასების თვალსაზრისით. ამ ტიპის საქმეებში ლეგიტიმურად ჩნდება შეკითხვები, ასრულებდა თუ არა სასამართლო ბრალდებულთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გარანტიის როლს.

გემოალნიშნული მოთხოვნები 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეებში დაცული არ არის. მეტიც, დაცვის მხარის წარმომადგენლებმა ადამიანის უფლებათა ცენტრს განუცხადეს, რომ საპროცესო შეთანხმებები ამ სისხლის სამართლის საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოების „მიზანმიმართული პოლიტიკაა“, რადგან, ამ დროს, სხვადასხვა მიზეზის გამო, ბრალდებულები აღიარებენ მათ მიმართ წარდგენილ ბრალს.

შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის საქმეების უდიდეს უმრავლესობაში საპროცესო შეთანხმების გამოყენებამ მნიშვნელოვნად შეათვრება პრეცედენტული სამართლის განვითარება. პრობლემურ შემთხვევებში არ არსებობს სათანადო მნიშვნელობის სასამართლო გადაწყვეტილებები. ამ პრობლემამ მონიტორინგის პროცესშიც იჩინა თავი.

გარდა ამისა, სასამართლოებმა იდენტურ შემთხვევებში განსხვავებული გადაწყვეტილებები მიიღეს. შესაბამისად, სუსტია ერთგვაროვანი პრაქტიკის მაგალითები და არ იკვეთება ერთიანი სტანდარტი, რაც ხელს არ უწყობს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განვითარებას. საპროცესო შეთანხმებების

შაბლონურობამ სწორედ განზოგადებული პრაქტიკის არსებობას შეუქმნა მწვავედ საფრთხე. ამასთან, საპროცესო შეთანხმების გამოყენება საქართველოში არაერთხელ გამხდარა შესწავლისა და მკაცრი კრიტიკის საგანი, რაც უკავშირდებოდა სუსტ საკანონმდებლო გარანტიებსა და საპროცესო შეთანხმების მასობრივად სხვადასხვა არაკანონიერი მიზნით გამოყენებას.

## პრობლემები დაზარალებულის სტატუსის მინიჭებისას

პირის დაზარალებულად ცნობა სამართლიანი სასამართლოს უფლების აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი კომპონენტია. სტატუსის აღიარება ქმნის სხვა პროცედურული უფლებებით სარგებლობის წინაპირობას. თუმცა, სამართლიანი სასამართლოს უფლებას ეფექტიანს ხდის სწორედ იმ პროცესუალური გარანტიების ერთობლიობა, რომელიც მთლიანობაში უზრუნველყოფს დაზარალებულის ინტერესების სათანადო განხორციელებას. დაზარალებულად ცნობა არის არა თვითმიზანი, არამედ შესაძლებლობა დარღვეული უფლებების დასაცავად<sup>74</sup>. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დანაშაულის შედეგად დაზარალებულ პირს კანონი ანიჭებს უაღრესად მნიშვნელოვან უფლებებს, რომელთა მეშვეობითაც მას უჩნდება სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას გარკვეული პროცედურული გარანტიები, აქვს ინფორმაცია საქმის მიმდინარეობის შესახებ და აღჭურვილია ბრალდების მხარის კონტროლის ბერკეტებით. დასახელებული უფლებების დაცვა უაღრესად მნიშვნელოვანია და დანაშაულისგან დაზარალებული პირი უნდა იყოს დაცული, რომ პროკურორის

---

<sup>74</sup> იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის განმწესრიგებელი სხდომის საოქმო ჩანაწერი №1/5/1389, 2019 წლის 24 მაისი. <https://bit.ly/3qCwjXp>.

გადაწყვეტილებით, არამართლზომიერად არ შეეზღუდოს კანონით მინიჭებული უფლებები და გარანტიები<sup>75</sup>.

წინამდებარე ანგარიშში შეფასებულ საქმეებში პრობლემურია დაზარალებულის სტატუსის მინიჭების საკითხები. თავდაპირველად, სხვა პირებთან ერთად, პროკურატურამ დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე უარი უთხრა 2019 წლის 20-21 ივნისის აქციების მონაწილეებს - მაკო გომურს და გიორგი სულაშვილს, რომლებმაც რეზინის ტყვიის მოხვედრით დაკარგეს თვალი<sup>76</sup>. დაზარალებულის სტატუსი მათ რამდენიმეთვიანი ბრძოლის შემდეგ მიანიჭეს<sup>77</sup>. სხვა პირებთან ერთად, ამ დრომდე არ აქვთ მინიჭებული დაზარალებულის სტატუსი ჟურნალისტებს, რომლებმაც მძიმე დაზიანებები მიიღეს<sup>78</sup>.

ადამიანის უფლებათა ცენტრის სამართალწარმოებაშია 20-21 ივნისის მოვლენების დროს დაშავებული სამი ჟურნალისტის - მერაბ ცაავას („გურია ნიუსი“), ბესლან კუმბოვის („კავკაზსკი უზელი“) და ზაზა სვანაძის საქმეები, რომელთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტები იცავენ. ორგანიზაციამ რამდენჯერმე მიმართა საქართველოს პროკურატურას დაშავებული ჟურნალისტებისათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით, მაგრამ თხოვნა არცერთ შემთხვევაში არ დაკმაყოფილდა. დაზარალებულად ცნობაზე უარის შემდეგ ადვოკატებმა საჩივრით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ბესლან კუმბოვის, მერაბ ცაავას და ზაზა სვანაძის დაზარალებულად ცნობის თაობაზე.

2019 წლის 9 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიამ, საქმის არსებითი

---

<sup>75</sup> იხ.: საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, თბილისი, 2014, 347.

<sup>76</sup> იხ.: ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3fgNTto>. ბოლოს ნანახია: 08.12.2020.

<sup>77</sup> იხ.: ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3fkBp42>. ბოლოს ნანახია: 08.12.2020.

<sup>78</sup> იხ.: ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3d0yPP1>. ბოლოს ნანახია: 08.12.2020.

განხილვისა და მხარეთა პოზიციის გათვალისწინების გარეშე, მიიღო განჩინება საჩივრების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც ზემდგომ ინსტანციაში არ საჩივრდება. ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, მომჩივნებმა ვერ ისარგებლეს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებით<sup>79</sup>. მას შემდეგ, რაც ეროვნულ დონეზე ყველა არსებული სამართლებრივი საშუალება გამოიყენა, რათა მისი დაცვის ქვეშ მყოფი ჟურნალისტები საქართველოს გენერალურ პროკურატურას დაზარალებულად ეცნო და ეწარმოებინა დროული, ეფექტიანი და მიუკერძოებელი გამოძიება, მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო, ადამიანის უფლებათა ცენტრმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა. სარჩელებში მითითებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 (გამოხატვის თავისუფლება); მე-11 (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება); მე-13 (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალება) მუხლების დარღვევების თაობაზე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ წარმოებაში ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ მომზადებული ორივე სარჩელი მიიღო<sup>80</sup>.

ოფიციალური მონაცემებით, 20-21 ივნისის მოვლენებისას აღრიცხულია 275 მოქალაქე, რომლებმაც სხვადასხვა სიმძიმის ჯანმრთელობის დაზიანება მიიღეს, მათ შორის არიან: 187 სამოქალაქო პირი, 39 ჟურნალისტი<sup>81</sup>, შსს-ს 73 თანამშრომელი. მიყენებული დაზიანებების გამო ქირურგიული ჩარევა დასჭირდა 28 პირს, მათ შორის, ოფთალმოლოგიური ოპერაცია ჩაუტარდა 8-ს, ხოლო ნეიროქირურგიული – 4 პირს<sup>82</sup>. ასევე, ტრავმის შედეგად სამმა სამოქალაქო პირმა ცალი თვალი დაკარგა<sup>83</sup>. ხოლო დავით

<sup>79</sup> იხ.: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლი: <https://bit.ly/2C2NQTH>.

<sup>80</sup> იხ.: ადამიანის უფლებათა ცენტრის პრესრელიზი: <https://bit.ly/37FPTsB>.

<sup>81</sup> იხ.: დაშავებულ ჟურნალისტთა სია: <https://bit.ly/3e1fy1m>. ბოლოს ნანახია: 08.12.2020.

<sup>82</sup> იხ.: „დაკარგული თვალის მიღმა“, 20-21 ივნისის მოვლენების სამართლებრივი შეფასება; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია: <https://bit.ly/2UC5Rif>.

<sup>83</sup> იხ.: ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3e1ftkE>. ბოლოს ნანახია: 08.12.2020.

ქერდოვანიძე 5 ოპერაციის შემდეგ დაზინებული თვალთ მხოლოდ სინათლეს ხედავს. ამ დროისათვის პროკურატურის მიერ მხოლოდ 8 სამოქალაქო პირია დაზარალებულად ცნობილი.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საგამოძიებო ორგანოები ან უთითებენ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტზე, რომელიც სავარაუდო დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის დადგენის ფაქტით არ შემოიფარგლება, ან საერთოდ არ უთითებენ რაიმე სტანდარტზე და განმარტავენ, რომ სტატუსის მინიჭებისთვის საკმარისი მტკიცებულებები კონკრეტულ ეტაპზე გამოძიებას არ გააჩნია. იმ შემთხვევებშიც, როდესაც მითითებულია დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, ის როგორც მინიმუმ საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთვის საკმარის მტკიცებულებებს გულისხმობს. შედეგად, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, ხშირად - არასწორად, გაიგივებულია ალბათობის მაღალი ხარისხის ან გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტთან, რომლებიც, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით მოსამართლის მიერ წინასასამართლო სხდომაზე საქმის არსებითად განსახილველად გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის ეტაპებზე გამოიყენება<sup>84</sup>.

ასევე, აღსანიშნავია, რომ ეროვნულ დონეზე, დაზარალებულის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, მოქმედი კანონმდებლობა იძლევა თვითნებური განმარტების შესაძლებლობას, რასაც პრაქტიკაში პროკურორი დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე დაუსაბუთებელი უარის საფუძვლად იყენებს ხოლმე. შესაბამისად, დაზარალებულისთვის გაურკვეველი რჩება სტატუსზე უარის თქმის მიზეზი. გარდა ამისა, პრობლემურია ის საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც საშუალებას აძლევს პროკურატურას, დაზარალებულის სტატუსის მქონე პირს, „გამოძიების ინტერესებიდან“ გამომდინარე, უარი უთხრას საქმის

---

<sup>84</sup> იხ.: მალხაზ მაჩალიკაშვილი და მერაბ მიქელაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 23 იანვარი, 2019 წ. <https://bit.ly/2W75WLd>.



მასალების გაცნობაზე. იმ შემთხვევაში კი, როდესაც დაზარალებულს საქმის მასალების გაცნობის უფლება ეძლევა, მას არ აქვს შესაძლებლობა გააკეთოს მასალების ასლები, რაც არსებითად ართულებს გამოძიების პროცესში პირის სრულფასოვან მონაწილეობას. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულებზე პროკურატურა წყვეტს ან არ იწყებს სისხლისსამართლებრივ დევნას, დაზარალებულს, არსებული კანონმდებლობით, არ ეძლევა უფლება, პროკურორის გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივროს.

## უდანაშაულობის პრეზუმფცია

ადამიანის უფლებების დაცვის ისეთი საერთაშორისო ინსტრუმენტები, როგორცაა UDHR<sup>85</sup>, ICCPR<sup>86</sup> და ECHR<sup>87</sup> მოითხოვენ, რომ ყველა ადამიანს, ვისაც ბრალი დაედო დანაშაულში, „აქვს უფლება, ითვლებოდეს უდანაშაულოდ, სანამ იგი არ იქნება ცნობილი ბრალეულად კანონის თანახმად[...]“<sup>88</sup>. საქართველოს კონსტიტუცია მიუთითებს, რომ ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით<sup>89</sup>. შემდგომ იგი მიუთითებს, რომ არავინ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს და ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ<sup>90</sup>. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იმეორებს ამ პრინციპებს და აცხადებს, რომ ადამიანის ღირსებისა და უდანაშაულობის პრეზუმფციის ზოგადი პრინციპების

---

<sup>85</sup> იხ.: Universal Declaration of Human Rights, მუხლი 11 (1). <https://bit.ly/3oAiJIC>.

<sup>86</sup> იხ.: International Covenant on Civil and Political Rights, მუხლი 14 (2). <https://bit.ly/3gyFhAo>.

<sup>87</sup> იხ.: European Convention on Human Rights, მუხლი 6(2). <https://bit.ly/3gp9925>.

<sup>88</sup> იხ.: Universal Declaration of Human Rights, მუხლი 1(1). <https://bit.ly/3qB9sLM>.

<sup>89</sup> იხ.: საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტი. <https://bit.ly/37Pt0TY>.

<sup>90</sup> იხ.: საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-6 პუნქტი. <https://bit.ly/37Pt0TY>.

პატივისცემა უნდა აისახოს სასამართლო პროცედურების ყველა ასპექტში<sup>91</sup>.

მონიტორინგის პერიოდში, ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმის სასამართლო პროცესების პარალელურად, სახელმწიფო თანამდებობის პირების მხრიდან, გავრცელდა ისეთი განცხადებებიც, რომლებშიც მიანიშნებდნენ ბრალდებული პირის სხვა შესაძლო დანაშაულში მონაწილეობაზე. ეს განცხადებები შეეხებოდა შორეულ წარსულში ჩადენილ მძიმე დანაშაულს, რაზეც საგამოძიებო უწყებათა მხრიდან სამართალწარმოება არასოდეს დაწყებულა. ამასთან, რამდენიმე საქმეზე, სასამართლო პროცესის პარალელურად, მედიაში, ხელისუფლების წარმომადგენლები უთითებდნენ ბრალდებულების სხვა სისხლის სამართლის საქმეზე ან საქმეებზე წარსულში ნასამართლობის შესახებ. მსგავსი განცხადებები, ცალკეულ პოლიტიკოსთა მხრიდან, შესაძლებელია, ბრალდებულის დაუსაბუთებლად დემონიზაციის მცდელობად და ამ გზით - მართლმსაჯულებაზე ზემოქმედებად შეფასდეს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს ან მონაწილე პირების მიერ გაკეთებულ განცხადებებს, არამედ ეხება სახელმწიფო პირებსაც, თუ მათი განცხადებების ნიადაგზე საზოგადოებას შეიძლება, შეეჭმნას განცდა, რომ ეჭვმიტანილი დამნაშავეა და შესაბამისად, გამოიწვიოს ფაქტების წინასწარი შეფასება, რაც კომპეტენტური სასამართლო ორგანოს პრეროგატივაა<sup>92</sup>. თუ სახელმწიფო თანამდებობის პირის განცხადება სასამართლო განაჩენის დადგომამდე მიანიშნებს, რომ ბრალდებული დამნაშავეა, ეს ჩაითვლება უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად<sup>93</sup>.

---

<sup>91</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლ. 4(1), 5(1), 5(2) და 5(3). <https://bit.ly/37q4M2e>.

<sup>92</sup> იხ.: ფატულაევი აზერბაიჯანის წინააღმდეგ, ECtHR, 22 აპრილი 2010, პარ. 159-160.

<sup>93</sup> იქვე: პარ. 159-160.

## საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის და დუმილის უფლება

გიორგი რურუას სისხლის სამართლის საქმის მონიტორინგისას, აღმოჩნდა, რომ მას დაკავებისთანავე, თბილისის მთავარი სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში, ვინმე გ.მ.-ს სამუშაო ოთახში, იძულებით აუღეს დნმ-ის ნიმუში, ისე, რომ არანაირი დოკუმენტი არ შეადგინეს<sup>94</sup>. დაცვის მხარის განმარტებით, ამ იძულების მიზანი იყო, „ამოღებულ“ იარაღზე დაეტანათ უკანონოდ აღებული დნმ და დაკავებულისთვის ამით დაემტკიცებინათ იარაღის უკანონო შექცენა-შენახვა-ტარების ფაქტი.

ბრალდების მხარის მოწმის განმარტებით, ბრალდებულმა დნმ-ის ნიმუშის აღებაზე წინააღმდეგობა გაუწია მათ, რასაც ადვოკატებიც ესწრებოდნენ და აქეზებდნენ, უარი განეცხადებინა. ამასთან, მოწმის განცხადებით, ბრალდებულს განუმარტეს, რომ წინააღმდეგობის შემთხვევაში, იძულებული იქნებოდნენ, გამოეყენებინათ პროპორციული ძალა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოწმემ დაადასტურა, რომ ცდილობდნენ, ბრალდებულისგან იძულებით აეღოთ დნმ-ის ნიმუში, მაგრამ იგი „ეჭიკავებოდა და უძალიანდებოდა და ეშინოდათ, ზიანი არ მიეყენებინათ, მაგალითად - არ მოეტეხათ ხელი, რადგან ხდებოდა ხელის გულებიდან კვლების და ნერწყვის ნიმუშების აღება“<sup>95</sup>.

ეროვნულ დონეზე, საქართველოს კონსტიტუცია მიუთითებს, რომ „არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით“<sup>96</sup>. საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის და

---

<sup>94</sup> აღამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის მიერ გიორგი რურუას საქმის მონიტორინგის შესახებ მომზადებული ანგარიშები. არსებითი განხილვა: 06.05.2020.

<sup>95</sup> მოწმის შეფასება (სტილი დაცულია).

<sup>96</sup> იხ.: საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 31 (11). <https://bit.ly/2VcSHrH>.

დუმილის უფლება განმტკიცებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და ეს დებულებები ეხება სისხლის სამართლის პროცედურების ყველა ეტაპს<sup>97</sup>.

თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია სამართლიანი სასამართლო უფლების ნაწილია, რაც განპირობებულია ამ უფლების მნიშვნელობით. კანონმდებლის მიზანია, ნორმის დაცვის განსაკუთრებულ სფეროში მოექცეს პირის თვითინკრიმინაციისგან დაცვის უფლება. ამ უფლების დარღვევის საფრთხე კი თანაბრად შესაძლებელია როგორც საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემით, ასევე, საკუთარი თავის წინააღმდეგ სხვა სახის მტკიცებულების გამჟღავნებით.

საკუთარი თავის წინააღმდეგ მტკიცებულების წარმოდგენაზე ან დანაშაულის აღიარებაზე უარის თქმის უფლება მნიშვნელოვნად იცავს მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს. იგი გაგებულია ისე, როგორც ეს ნაგულისხმებია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამართლიანი სასამართლოს<sup>98</sup> მოთხოვნებში და ცალსახად არის განერილი საერთაშორისო პაქტში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ<sup>99</sup>, რომელიც ითვალისწინებს, რომ ბრალდებული „არ უნდა დაექვემდებაროს საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის ან დანაშაულის აღიარების იძულებას“. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება ეფუძნება იმ პრინციპს, რომ სისხლის სამართლის საქმეში, პროკურატურა უნდა ეცადოს, დაამტკიცოს მისი ვერსია ბრალდებულის წინააღმდეგ ისეთი მტკიცებულებებით, რომელიც არ არის მოპოვებული

---

<sup>97</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლ. 15 და 38(4).  
<https://bit.ly/3gob6vC>.

<sup>98</sup> იხ.: ECHR, მუხლი 6; იხ. აგრეთვე ჯონ მიურეი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ECtHR, 8 თებერვალი 1996, პარ. 45.

<sup>99</sup> იხ.: იხ.: International Covenant on Civil and Political Rights, მუხლი 14 (3) (8).  
<https://bit.ly/3gyFhAo>.

იძულებით, მოტყუებით ან ბრალდებულის ნებისყოფის დათრგუნვით<sup>100</sup>. იგი კრძალავს იძულების ნებისმიერ ფორმას, პირდაპირს თუ არაპირდაპირს, ფიზიკურსა თუ ფსიქოლოგიურს<sup>101</sup>. საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის და ღუმილის უფლება ეხება როგორც საგამოძიებო, ისე სასამართლო ორგანოებს<sup>102</sup>.

ზემოაღნიშნული სტანდარტებიდან გამომდინარე, გიორგი რურუას უფლება ჰქონდა, ნიმუშის აღებაზე უარი ეთქვა, რადგან იგი, როგორც ბრალდებული, სარგებლობდა თვითინკრიმინაციის იძულებისგან დაცვის პრივილეგიით<sup>103</sup>. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, ნიმუშის აღებაზე, როგორც საგამოძიებო მოქმედებაზე უარის თქმა, ან მისი ჩატარების პასიური ხელშეშლა, არ უნდა გამხდარიყო ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი. თუმცა, ამასთან, გამომძიებელი უფლებამოსილი იყო, იძულების პროპორციული ზომების გამოყენებით გიორგი რურუასგან აეღო სასამართლოს განჩინებაში მითითებული ნიმუში, რითაც საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება არ შეფერხდებოდა. ასეთ შემთხვევაში კი, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული რიგი ფაქტობრივი გარემოებები და მისი ჩატარება გარდაუვალი აუცილებლობიდან გამომდინარეობდეს, რისთვისაც, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, დასაბუთებულობის მაღალი სტანდარტი უნდა არსებობდეს<sup>104</sup>.

---

<sup>100</sup> სონდერსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ECtHR, 17 დეკემბერი 1996 წ. 68; აგრეთვე, იხ.: ფ.გ. და ჯ.პ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ECtHR, 25 სექტემბერი 2001, წარ. 80.

<sup>101</sup> სამართლიანი სასამართლოს სახელმძღვანელო, მე-2-ე გამოცემა, (ლონდონი : საერთაშორისო ამნისტიის გამოცემები, 2014) გვ. 129.

<sup>102</sup> იხ.: Document of The Moscow Meeting of The Conference on The Human Dimension of The CSCE, შენ.4, წარ. 23.1(vii).

<sup>103</sup> იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: John Murray v. The United Kingdom §44 წარ.

<sup>104</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის 111-ე მუხლის მე-7 ნაწილი: <https://bit.ly/2MLKcjh>.

## გასამართლების უფლება გონივრულ ვადაში

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, გონივრულ დროში გასამართლების უფლება ათავისუფლებს სასამართლო პროცესის მოლოდინში მყოფ პირებს ხანგრძლივი გაურკვევლობისგან. ამასთან, ეს უფლება ბრალდებულის თავისუფლების შემზღუდველი იმ ღონისძიებების მინიმუმაციას უწყობს ხელს, რომლებიც გამოიყენება სასამართლო განხილვის მიზნებისთვის. რაც შეეხება იმას, თუ რა არის გონივრული ვადა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორცაა - საქმის სირთულე, განმცხადებლისა და შესაბამისი ადმინისტრაციული და სასამართლო ხელისუფლების ქცევები<sup>105</sup>. თუმცა, არ არსებობს დადგენილი წესი თუ რა ითვლება გონივრულ ვადად. სასამართლო გონივრული ვადის გადაჭარბებად მიიჩნევა იმ შემთხვევებს, როდესაც საქმის წარმოების ხანგრძლივობამ ერთ ინსტანციაში გადააჭარბა სამ წელიწადს, ორ ინსტანციაში - ხუთ წელიწადს და სამივე ინსტანციაში - ექვს წელიწადს<sup>106</sup>.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს ბრალდებულის უფლებას სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებაზე, მაგრამ ამ უფლებაზე უარის თქმა შესაძლებელია დაცვის სათანადოდ მოსამზადებლად<sup>107</sup>. იგი აგრეთვე ავალდებულებს სასამართლოს, პრიორიტეტულად მიიჩნიოს საქმეები, სადაც ბრალდებულები პატიმრობაში იმყოფებიან<sup>108</sup>.

<sup>105</sup> იხ.: პრეტო და სხვები იტალიის წინააღმდეგ, ECtHR, 8 დეკემბერი, 1983, პარ. 31-37, პედერსენი და ბადსგაარდი დანიის წინააღმდეგ, ECtHR, 17 დეკემბერი 2004, პარ. 45 და იხ. აგრეთვე ზოგადი კომენტარი NO.32, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 113, პარ. 35

<sup>106</sup> იხ.: სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში, ეუთო, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურო, ვარშავა, 2014; ხელმისაწვდომია: <https://goo.gl/13yLBz>.

<sup>107</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8(2) მუხლი. <https://bit.ly/37q4M2e>.

<sup>108</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8(3) მუხლი. <https://bit.ly/37q4M2e>.

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა პრობლემები გონივრულ ვადაში გასამართლების უფლების კუთხით. ზოგიერთი საქმე გადაიღო არაგონივრულად ხანგრძლივი დროით. ზოგ გადადებულ საქმეში ფიგურირებდნენ პატიმრობაში მყოფი ბრალდებულები. საქმის განხილვის დაყოვნებას ან განხილვის გადადებას, ზოგიერთ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა ბრალდების მხარის მოქმედებისა თუ უმოქმედობის მიზეზით, ნაწილის სასამართლო განხილვის გადადება ხდებოდა დაცვის მხარის, გამონაკლის შემთხვევაში კი - სასამართლოს ინიციატივით, სხვადასხვა მიზეზზე მითითებით.

ზოგიერთ სისხლის სამართლის საქმეზე სხდომები, პირიქით, მიმდინარეობდა დაჩქარებული წესით. მაგალითად, გიორგი რურუას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის სასამართლო სხდომები კვირაში რამდენჯერმე (3-4 დღე) იმართებოდა. თუმცა, კვირაში სხდომების ჩანიშვნისა და რაოდენობის საკითხი, შეთანხმებული იყო დაცვის მხარესთან. ზოგიერთ საქმეზე საქმის განხილვის დაწყება და განაჩენის გამოცხადებაც ყოვნდებოდა ხანგრძლივი პერიოდით, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, მაგალითად, გიორგი უგულავას სისხლის სამართლის საქმის შემთხვევაში, კერძოდ, დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის განხილვის 6-თვიანი ვადა<sup>109</sup>. ზემოთ აღწერილი შემთხვევები პოტენციურ ზემოქმედებას ახდენენ სწრაფი მართლმსაჯულების უფლებაზე, რადგან ერთმანეთზე მიყოლებული შეყოვნებები და პროცესის გადატანა ხელს უწყობს მის გაჭიანურებას.

---

<sup>109</sup> იხ.: „გიორგი რურუას სისხლის სამართლის საქმე სამართლებრივი ანალიზი“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი. გვ. 14. <https://bit.ly/2CkSOfd>.

## მოტივირებული სასამართლო გადაწყვეტილების უფლება

სამართალწარმოებაში თვითნებური ქმედებებისგან დაცვის მიზნით, სასამართლოებს მოეთხოვებათ მათი გადაწყვეტილებების ადეკვატური საფუძვლების მითითება, მაგრამ ეს არ უნდა იქნას გაგებული, თითქოს სასამართლოებს ევალებათ თითოეულ წარმოდგენილ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემა<sup>110</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ მოტივირებული სასამართლო გადაწყვეტილების უფლება ცალსახად არ არის ჩამოყალიბებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, აღნიშნულია, რომ „სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი<sup>111</sup>. სასამართლოს გადაწყვეტილება აკმაყოფილებს „მოტივირებული გადაწყვეტილების“ კრიტერიუმებს, თუ ის ემყარება განხილვის დროს გამოკვეთულ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას<sup>112</sup>. სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი „შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს<sup>113</sup>. განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს „ვარაუდი“<sup>114</sup>.

<sup>110</sup> იხ.: სუომინენი ფინეთის წინააღმდეგ, ECtHR, 24 ივლისი 2003, პარ. 34 რუიზ ტორიკა ესპანეთის წინააღმდეგ, ECtHR, 9 დეკემბერი 1994, პარ. 29; ვან დე ჰურკი ნიდერლანდების წინააღმდეგ, ECtHR, 19 აპრილი 1994, პარ. 61; შირო ბალანი ესპანეთის წინააღმდეგ, ECtHR, 9 დეკემბერი 1994, პარ. 27; გრადინარი მოლდოვას წინააღმდეგ, ECtHR, 8 ივლისი 2008, პარ. 107; კარაკასის საბერძნეთის წინააღმდეგ, ECtHR, 17 იანვარი 2001, პარ. 27.

<sup>111</sup> იხ.: იქვე, მუხლი 259(1); გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენის სამოტივაციო ნაწილში დასაბუთების მოთხოვნების შესახებ, იხ. მუხლ. 273 და 275 სსსკ. <https://bit.ly/37q4M2e>.

<sup>112</sup> იხ.: იქვე, მუხლი 259(3); გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენის სამოტივაციო ნაწილში დასაბუთების მოთხოვნების შესახებ, იხ. მუხლ. 273 და 275 სსსკ. <https://bit.ly/37q4M2e>.

<sup>113</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259(4) მუხლი. <https://bit.ly/37q4M2e>.

<sup>114</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269(2) მუხლი. <https://bit.ly/37q4M2e>.



მონიტორინგის დროს შესწავლილ საქმეებთან დაკავშირებით გამოვლინდა სამი ძირითადი პრობლემა: 1) მტკიცებულებათა არასაკმარისი ან არაადეკვატური შეფასება, 2) სამართლებრივი ანალიზისა და 3) სასჯელის შეფარდებისთვის გამოყენებული ფაქტორების შეფასების ნაკლებობა<sup>115</sup>. უმეტეს შემთხვევაში, ბრალდებულის განაჩენი ეფუძნება მხოლოდ გამოძიების ეტაპზე გაკეთებულ მონშეთა განცხადებებს. არაერთ გამამტყუნებელ განაჩენში ერთადერთი მტკიცებულება, რომელიც ბრალდებულს აკავშირებს დანაშაულებრივ ქმედებასთან, არის ერთი ან რამდენიმე მონშის (ხშირ შემთხვევაში - პოლიციელი მონშის) ჩვენება<sup>116</sup>.

რამდენიმე შემთხვევაში, სასამართლომ არ განიხილა თითოეული ბრალდება ინდივიდუალურ ბრალდებულებთან მიმართებით. გარდა ამისა, სასამართლომ მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნა მიზეზები, რის გამოც მონშეთა ჩვენება ჩაითვალა სარწმუნოდ, რელევანტურად და მტკიცებითი ღირებულების მქონედ. შესაბამისად, სასამართლოს ეს პრაქტიკა ვერ აკმაყოფილებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ მოთხოვნას, რომლის თანახმადაც, „განაჩენში მითითებული უნდა იყოს მტკიცებულება, რომელსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა, და მოტივი, რომლის მიხედვითაც სასამართლომ მიიღო ერთი მტკიცებულება და უარყო მეორე“<sup>117</sup>.

<sup>115</sup> მაგალითად, იხ.: „გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი: <https://bit.ly/33SqhZx>. 2) „2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი ანალიზი“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი: <https://bit.ly/2XUIHFh>. 3) „ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი: <https://bit.ly/31NEpka>. 4) „გიორგი რურუას სისხლის სამართლის საქმე სამართლებრივი ანალიზი“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი: <https://bit.ly/2CkSOfd>. 5) „ნიკა გვარამიას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის სამართლებრივი შეფასება“; ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020 წელი: <https://bit.ly/33NghAb>.

<sup>116</sup> მაგალითად, მაგ. ირაკლი ოქრუაშვილის, ნიკანორ მელიას და 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული სხვა პირების სისხლის სამართლის საქმეები

<sup>117</sup> იხ.: <sup>117</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლი. <https://bit.ly/37q4M2e>.

სასამართლო გადაწყვეტილების ჯეროვანი დასაბუთება მნიშვნელოვანია, რადგან იგი ერთარდერთი გზაა სასამართლო პროცედურების მიმართ თვითნებობის შთაბეჭდილების გასაქარწყლებლად. როგორც ზემოთ განვიხილეთ, მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ, მრავალ სასამართლო გადაწყვეტილებაში უგულებელყოფილი იყო წარმოდგენილ მტკიცებულებათა შეფასება და ადეკვატური სამართლებრივი ანალიზი, იმის ასახსნელად, თუ რა კავშირშია დადგენილი ფაქტები სისხლის სამართლის დანაშაულთან და რამაც კონკრეტული სასჯელის შეფარდება გამოიწვია. ეს პრაქტიკა ხელყოფდა ბრალდებულის უფლებას მოტივირებულ სასამართლო გადაწყვეტილებაზე.

## შერჩევითი სამართალი

ევროპული კონვენციის მიხედვით, თანასწორობა გულისხმობს ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვას<sup>118</sup>. ასევე, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია განმარტავს, რომ ყველას გააჩნია თანაბარი დაცვა დისკრიმინაციის წინააღმდეგ<sup>119</sup>. საქართველოს კონსტიტუცია, კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა იზიარებს ევროსასამართლოს პრაქტიკას და თავადაც ამკვიდრებს სტანდარტებს კონსტიტუციის მე-14 მუხლის დაცვის ჭრილში<sup>120</sup>. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის ჩამონათვალი გულისხმობს თანასწორობას არა მხოლოდ ჩამოთვლილ შემთხვევებში, არამედ ყველა სხვა ნიშნის მიხედვით, სადაც პირები შეიძლება აღმოჩნდნენ არსებითად თანასწორ მდგომარეობაში. თუმცა, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი გულისხმობს მხოლოდ იურიდიულს და არა ფაქტობრივ თანასწორობას

---

<sup>118</sup> იხ.: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი. <https://bit.ly/3gsbDN5>.

<sup>119</sup> იხ.: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948 წლის 10 დეკემბერი. <https://bit.ly/33U0FuG>.

<sup>120</sup> იხ.: საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი. <https://bit.ly/38KDcNF>.

და როგორც სამართალშემოქმედების, ისე სამართალგამოყენების პროცესში სახელმწიფო სწორედ ამ პრინციპით უნდა ხელმძღვანელობდეს<sup>121</sup>.

კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპები მოითხოვს, სახელმწიფოს ყველა დარღვევაზე ჰქონდეს ადეკვატური რეაგირება და დემონსტრანტების თუ პოლიციის მხრიდან განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებების განურჩევლად, დაიწყოს შესაბამისი საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებები, ობიექტურად, მიუკერძოებლად და გამჭვირვალედ. ყოველი ამგვარი რეაგირება კონსტიტუციისა და საერთაშორისო სტანდარტების, კანონის მოთხოვნათა მკაცრი დაცვით, დასაბუთების მაღალი სტანდარტით და საზოგადოების მაქსიმალური ინფორმირებულობით უნდა განხორციელდეს.

ყოფილი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების სისხლისსამართლებრივი დევნის არსებული სამართლებრივად ხარვეზიანი პრაქტიკა, 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული საქმეებისა და 2020 წლის ნოემბრის საპროტესტო აქციებზე დაკავებული პირების საქმეების შესწავლისას იდენტიფიცირებული პრობლემები, საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების უგულებელყოფა, ასევე - ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები, პოლიციელების მხრიდან გამოვლენილი კანონდარღვევების მიმართ უმოქმედობის შემთხვევები, აჩენს კითხვებს სახელმწიფოს მხრიდან შერჩევით მიდგომასა და კონკრეტულ პირთა მიმართ სისხლის სამართლის დევნის მიზანმიმართულად დაწყების თაობაზე, რაც მათი დასჯის სურვილსა და დაპატიმრებაში გამოიხატება<sup>122</sup>.

---

<sup>121</sup> იხ.: ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 22 აგვისტო, 2018 წ. <https://bit.ly/3nf6YRg>.

<sup>122</sup> იხ.: ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში, 2019 წელი. გვ.48. ადამიანის უფლებათა ცენტრი: <https://bit.ly/33THjXo>.

აგრეთვე, ამაზე მიუთითებს დაზარალებული და პასუხისგებაში მიცემული მოქალაქეებისა და დაზარალებული და პასუხისგებაში მიცემული სამართალდამცავების სტატისტიკურ მონაცემებს შორის არსებული თვალშისაცემი რაოდენობრივი განსხვავება. მაგალითად, შსს-ს მიერ წარმოებული გამოძიების ფარგლებში, 2019 წლის 20-21 ივნისის საპროტესტო აქციის 17 მონაწილეს წარედგინა ბრალი, რომელთაგან ყველას მიმართ, აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობა იქნა გამოყენებული, მაშინ, როდესაც პროკურატურამ მხოლოდ 3 (სამი) პოლიციელის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, სასამართლომ კი მხოლოდ 1 (ერთ) სამართალდამცველს შეუფარდა პატიმრობა და მასაც აღკვეთის ეს ღონისძიება უფრო მსუბუქი ღონისძიებით - გირაოთი შეეცვალა<sup>123</sup>.

ასევე, როგორც აღინიშნა, პროკურატურის მიერ მხოლოდ 8 სამოქალაქო პირი იქნა ცნობილი დაზარალებულად. მაშინ, როცა იმავე დღეს განვითარებული მოვლენების შედეგად, შსს-ს 68 თანამშრომელს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი. შესაბამისად, დანარჩენ დაზარალებულებს, რომლებსაც დღემდე ეს სტატუსი ოფიციალურად არა აქვთ, სისხლის სამართლის საქმის მასალებზე წვდომის უფლებამოსილება არ გააჩნიათ<sup>124</sup>.

სამართალდამცველების წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ჯერ გადანაცვეტილება არ მიუღია.

---

<sup>123</sup> იხ.: საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 20-21 ივნისის მოვლენების გამოძიების შუალედური ანგარიში; გვ. 27; 2020 წელი: <https://bit.ly/2UF7Sdi>.

<sup>124</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლი. <https://bit.ly/37q4M2e>.

## დისტანციური წესით გამართული სასამართლო სხდომები

### საკანონმდებლო მიმოხილვა

საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის დეკრეტით, კორონავირუსის პანდემიისგან მომდინარე საფრთხეების გამო, საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა და შეიზღუდა მთელი რივი სამოქალაქო უფლებები<sup>125</sup>. ამასთან, დეკრეტით განისაზღვრა სასამართლო სხდომების, მათ შორის - სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სასამართლო სხდომების დისტანციურად გამართვის შესაძლებლობა. შესაბამისი ცვლილებები შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში<sup>126</sup>. ასევე, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო რეკომენდაციების პაკეტი<sup>127</sup>, რომელიც მიზნად ისახავს პანდემიის დროს მართლმსაჯულების უსაფრთხო განხორციელების ხელშეწყობას.

საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით განსაზღვრული დროებითი წესის ამოწურვის შემდეგ (2020 წლის 21 აპრილი), სისხლის სამართლის პროცესში არ არსებობდა პროცესის მთლიანად დისტანციურად გამართვის საკანონმდებლო საფუძველი. სწორედ ამიტომ, 2020 წლის 22 მაისს განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები და საქართველოს საერთო სასამართლოებს მიენიჭათ უფლებამოსილება, 2020 წლის 15 ივლისამდე სასამართლო სხდომები დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩაეტარებინათ<sup>128</sup>. ამის შემდეგ, სასამართლო პროცესები ტარდება

---

<sup>125</sup> იხ.: საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტი, მუხ. 7. <https://bit.ly/39mZ0BA>.

<sup>126</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი: <https://bit.ly/3l9QnfG>.

<sup>127</sup> იხ.: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 13 მარტის N1 რეკომენდაცია: <https://bit.ly/2E0tll9>.

<sup>128</sup> იხ.: საქართველოს 2020 წლის 22 მაისის N5973-სს კანონი: <https://bit.ly/33kK9Ua>.

როგორც დისტანციურად, ისე უშუალოდ სასამართლოს შენობაში, სასამართლოს სხდომის დარბაზებში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2020 წლის 15 სექტემბერს<sup>129</sup>, შემდგომ კი, 1 დეკემბერს<sup>130</sup>, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ COVID19-ის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით საერთო სასამართლოებისთვის რეკომენდაციები კიდევ ერთხელ დაამტკიცა. რითაც განისაზღვრა პროცესის მონაწილეთა სასამართლო განხილვაში მონაწილეობა დისტანციურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. აღნიშნული რეკომენდაცია მოქმედებს მის გაუქმებამდე.

### **სამართლიანი სასამართლოს უფლება (სასამართლო სხდომების საჯაროობა)**

ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია (UDHR), საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR) და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (ECHR), ამასთან - ეროვნული კანონმდებლობაც, ითვალისწინებს საჯარო სასამართლო განხილვის უფლებას<sup>131</sup>. ადამიანის უფლებათა კომიტეტი ხაზს უსვამს ამ უფლების მნიშვნელობას და აცხადებს, რომ „სასამართლო სხდომების საჯაროობა უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და ამდენად, იცავს პირისა და მთლიანად საზოგადოების ინტერესებს<sup>132</sup>.

---

<sup>129</sup> იხ.: იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 15 სექტემბრის რეკომენდაცია: <https://bit.ly/3mgsfJH>.

<sup>130</sup> იხ.: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 1 დეკემბრის რეკომენდაცია: <https://bit.ly/3qDpK6O>.

<sup>131</sup> იხ.: UDHR, მუხლ.10 და 11(1); ICCPR, მუხლი 14(1); ECHR, მუხლი 6(1).

<sup>132</sup> იხ. „ზოგადი კომენტარი No.32, მუხლი 14: სასამართლოების წინაშე თანასწორობისა და სამართლიანი სასამართლოს უფლება“, გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტი, გაეროს დოკუმენტი U.N. Doc. CCPR/C/GC/32, 9 - 27 ივლისი 2007, პარ. 28. <https://www.refworld.org/docid/478b2b2f2.html%20>.

საქართველოს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს საგანგებო მდგომარეობის დროს პრეზიდენტის დეკრეტით სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვას. შესაბამისად, ფორმალურად გაუმართლებელია ზემოაღნიშნული ღონისძიების დაწესება დეკრეტით. სწორედ ამიტომ, განსხვავებით სხვა კონსტიტუციური უფლებებისგან, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით სამართლიანი სასამართლოს უფლება ცალკე არ შეზღუდულა. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, დეკრეტის მე-7 მუხლში ჩაინერა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სასამართლო სხდომები შესაძლებელი იქნებოდა, გამართულიყო დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით<sup>133</sup>.

მოცემული საკანონმდებლო ცვლილებებითა და რეკომენდაციებით, მნიშვნელოვნად შეიზღუდა სხდომათა საჯაროობა და საფრთხის ქვეშ დადგა მხარეთა სამართლიანი სასამართლოს უფლება. პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ როგორც დისტანციურად, ისე სასამართლო სხდომის დარბაზში დასწრებაც, ხშირად, მხოლოდ მას შემდეგ იყო შესაძლებელი, რაც ოფიციალურად, განცხადებით მიმართავდა ორგანიზაციის სასამართლო მონიტორი საქმის განმხილველ მოსამართლეს და ითხოვდა პროცესზე დასწრებას<sup>134</sup>.

საანგარიშო პერიოდში, ცალკეულმა მოსამართლეებმა ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორებს დაუსაბუთებლად უთხრეს უარი როგორც უშუალოდ სასამართლოს სხდომის დარბაზში, ასევე დისტანციურ სასამართლო პროცესებზე დასწრებაზე, რომლებზეც

---

<sup>133</sup> იხ.: საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტი, მუხ. 7.

<https://bit.ly/39mZ0BA>.

<sup>134</sup> იხ.: ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლოს მონიტორის მიერ, ირაკლი ოქრუაშვილისა და ზურაბ ადგიშვილის სისხლის სამართლის საქმეებზე მომზადებული მონიტორინგის ანგარიშები; **არსებითი განხილვა:** 19.05.2020; ასევე, მონიტორის ანგარიში ლაშა ჩხარტიშვილის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე; **არსებითი განხილვა:** 10.06.2020 და მონიტორინგის ანგარიში გიორგი რურუას სისხლის სამართლის საქმეზე; **არსებითი განხილვა:** 25.06.2020

სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ პირთა სისხლის სამართლისა და საპროტესტო აქციებზე დაკავებულ პირთა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები განიხილებოდა<sup>135</sup>.

აღნიშნულ პრობლემებზე ადამიანის უფლებათა ცენტრმა<sup>136</sup> და შემდგომში კოალიციამ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ გაავრცელეს განცხადებები საგანგებო მდგომარეობის პირობებში საერთო სასამართლოებში პროცესების დახურვისა და სხვა სახის ხარვეზების თაობაზე და მოუწოდეს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და საერთო სასამართლოს თავმჯდომარეებს, სასამართლოებში საქმეთა განხილვის პროცესში გამოვლენილ ხარვეზებზე მოეხდინათ მყისიერი რეაგირება, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სხდომათა საჯაროობის პრინციპი და სრულად არ შეზღუდულიყო პროცესების საჯაროობის უზრუნველყოფა<sup>137</sup>.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პასუხიდან გაირკვა, რომ სასამართლოების პრაქტიკა და საბჭოს მიდგომა ერთმანეთს არ ემთხვეოდა. კერძოდ, საბჭომ ადამიანის უფლებათა ცენტრს განუმარტა, რომ სასამართლო სისტემა მოკლებული იყო შესაძლებლობას, დისტანციურ პროცესებში ჩაერთო სასამართლო მონიტორები. ეს მაშინ, როდესაც, რიგ შემთხვევებში, სასამართლოს თანხმობით, მონიტორები ესწრებოდნენ მიმდინარე სასამართლო სხდომებს, დისტანციურად. ეს

<sup>135</sup> მაგალითად: 1) **2020 წლის 23 მარტი** - ბესიკ თამლიანის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის სასამართლო პროცესი; 2) **2020 წლის 2 აპრილი** - ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის სასამართლო პროცესი; 3) **2016 წლის 16 სექტემბერი** - ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე ე.წ. ამირან (ბუტა) რობაქიძის სისხლის სამართლის საქმის სასამართლო პროცესი. ასევე, იხ.: „დისტანციურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული პრობლემები კორონავირუსის პანდემიისა და საგანგებო მდგომარეობის პირობებში“, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020 წელი. <https://bit.ly/33UG75s>.

<sup>136</sup> იხ.: განცხადება: ადამიანის უფლებათა ცენტრი სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების დახურვას აპროტესტებს. <https://bit.ly/36bzDjS>.

<sup>137</sup> იხ.: კოალიციის განცხადება საგანგებო მდგომარეობის პირობებში საერთო სასამართლოებში პროცესების დახურვისა და სხვა სახის ხარვეზების თაობაზე: <https://bit.ly/2KDEH8m>.



მიანიშნებს იმაზე, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო სრულყოფილად არ ფლობდა პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ ინფორმაციას<sup>138</sup>.

## ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაციის პრობლემა

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს დაცვის უფლებას<sup>139</sup>. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, „ბრალდებულს აქვს ადვოკატის არჩევისა და ყოლის, ასევე - მის მიერ არჩეული ადვოკატის ნებისმიერ დროს შეცვლის უფლება<sup>140</sup>. სისხლის სამართლის კონტექსტში, ადვოკატის ყოლის უფლება მოიცავს პირის მიერ არჩეული დამცველის წარმომადგენლობის უფლებისა და მისი ამ უფლებების შესახებ ინფორმაციის მიღების გარანტიას, აგრეთვე უფლებით გადასცეს და მიიღოს ადვოკატისგან ინფორმაცია კონფიდენციალურად და ისარგებლოს უფასო ადვოკატის დახმარების უფლებით<sup>141</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ დაადასტურა, რომ ადვოკატთან კონფიდენციალური და პრივილეგირებული კომუნიკაციის უფლება წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლების მნიშვნელოვან კომპონენტს<sup>142</sup>. თუ სამართლიანი სასამართლოს უფლება უნდა იყოს „პრაქტიკული და ეფექტური“, მაშინ ადვოკატთან კონფიდენციალური და პრივილეგირებული კომუნიკაციის პირობები ნამდვილად უნდა იქნას

<sup>138</sup> იხ.: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 22 აპრილის, #323/1072-03-ო პასუხი ადამიანის უფლებათა ცენტრის 2020 წლის 16 აპრილის განცხადებაზე.

<sup>139</sup> იხ.: საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტი. <https://bit.ly/36YsfsC>.

<sup>140</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-5 ნაწილი. <https://bit.ly/3n2221V>.

<sup>141</sup> იხ.: სამართლიანი სასამართლოს უფლებების საერთაშორისო სამართლებრივი კრებული, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 7, გვ. 138. <https://bit.ly/2HPXgp2>.

<sup>142</sup> იხ.: ECtHR-ის შესაბამისი სასამართლო პრაქტიკა ამ მხრივ: 1) ს. შვეიცარიის წინააღმდეგ, ECtHR, 28 ნოემბერი 1991, პარ. 48, <https://bit.ly/2KNlm3G>; 2) კემპბელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ECtHR, 25 მარტი 1992, პარ. 46. <https://bit.ly/2KEcJcC>.

უზრუნველყოფილი, რის გარეშეც დაცვის ადვოკატის დახმარება აზრს კარგავს<sup>143</sup>.

სასამართლო სხდომების მონიტორინგისას, ადვოკატსა და კლიენტს შორის კონფიდენციალურ და პრივილეგირებულ კომუნიკაციაში იდენტიფიცირებულია გარკვეული შეფერხებები. ბრალდებულებისა და მათი ადვოკატების ცალ-ცალკე ყოფნა უარყოფით გავლენას ახდენდა მათ შორის კონფიდენციალურ და პრივილეგირებულ კომუნიკაციაზე. ამასთან, იყო შემთხვევა, როცა დისტანციური პროცესის დროს ადვოკატმა გამოთქვა სასამართლო სხდომის გადაღების სურვილი, რადგან არ იყო უზრუნველყოფილი კლიენტსა და ადვოკატს შორის კონფიდენციალური კომუნიკაცია<sup>144</sup>. ძირითადად, ბრალდებულებს პროცესის მსვლელობისას არ ჰქონდათ ადვოკატთან პოზიციის შეჯერების შესაძლებლობა, რაც სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევად შეიძლება იქნას მიჩნეული.

## მონშეთა დაკითხვის პრობლემა

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია უზრუნველყოფენ, რომ ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს, „თვითონ დაკითხოს ან დააკითხინოს მისი ბრალდების მონშეები და გამოაძახებინოს და დააკითხინოს მისი დაცვის მონშეების ბრალდების მონშეების თანაბარ პირობებში<sup>145</sup>. ეს უფლება წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტურ

<sup>143</sup> იხ.: 1) ოჯალანი თურქეთის წინააღმდეგ, ECtHR, 12 მაისი 2005, პარ. 133, <https://bit.ly/39IsDmx>; 2) ხოდორკოვსკი და ლეხედევი რუსეთის წინააღმდეგ, ECtHR, 25 ოქტომბერი 2013, პარ. 627, <https://bit.ly/33rgfOi>; 3) სახნოვსკი რუსეთის წინააღმდეგ, ECtHR, 2 ნოემბერი 2010, პარ. 97, <https://bit.ly/3mfui7>.

<sup>144</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის მიერ, გიორგი რურუას საქმის მონიტორინგის შესახებ მომზადებული ანგარიში. ბოლოს ნანახია: 04.05.2020

<sup>145</sup> იხ.: International Covenant on Civil and Political Rights, 14 (3) (ე). <https://bit.ly/3oFZneV>; ECHR, მუხლი 6 (3) (დ). <https://bit.ly/39UtpS>.

გარანტიას, რამდენადაც იგი აწონასწორებს პროკურორის პრეროგატივებსა და უფლებამოსილებებს. აღნიშნული უფლება უზრუნველყოფილია ეროვნული კანონმდებლობითაც. საქართველოს კონსტიტუცია აყალიბებს ბრალდებულის მიერ მონმის გამოძახების უფლებას: „ბრალდებულს უფლება აქვს, მოითხოვოს თავისი მონმების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც ბრალდების მონმების“<sup>146</sup>. გარდა ამისა, სამართლიანი სასამართლოს კონცეფციაში დევს, რომ მოსარჩელეს მიეცეს მონმის განცხადების ან ჩვენების ნებისმიერ ასპექტში შედავების შესაძლებლობა დაპირისპირების ან დაკითხვის დროს<sup>147</sup>.

დისტანციური სასამართლო სხდომების მონიტორინგის დროს, პრობლემას წარმოადგენდა დადგენა, იმყოფებოდნენ თუ არა მონმები მართლ და იძლეოდნენ თუ არა ჩვენებებს გავლენისგან თავისუფლად. ამ პრობლემის შესახებ ყურადღება სახალხო დამცველმაც გაამახვილა<sup>148</sup>. მონმეთა დისტანციური დაკითხვის დროს, როგორც წესი, არ ჩანდა მათ წინ (მაგალითად, მაგიდაზე) მდებარე საგნები.

მონიტორინგის მიმდინარეობისას, პრობლემური იყო დისტანციურად ჩართული მონმის ვინაობის დადგენა. ჩვეულებრივ პროცესში დისტანციურად ჩართული მონმის ვინაობას ადასტურებს დარბაზში მყოფი მხარე. ამასთან, ერთი მონმე, რომელიც ჯერ არ არის დაკითხული, შეიძლება უსმენდეს მეორე მონმეს<sup>149</sup>. ასევე, არ არსებობს მონმესთან ერთად სხვა პირის ყოფნისა და მონმისთვის ინფორმაციის კარნახის დადასტურების/გამორიცხვის შესაძლებლობა.

---

<sup>146</sup> იხ.: საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 31 (4), <https://bit.ly/2VcSHrH>; იხ.: აგრეთვე მუხლი 14(2) სსკ, <https://bit.ly/3laNZ8F>.

<sup>147</sup> იხ.: საქმე Bricmont v Belgium (ბრიკმონტი ბელგიის წინააღმდეგ) (ECtHR, 7 ივლისი 1989, პარ. 81. <https://bit.ly/3lc1EMx>.

<sup>148</sup> იხ.: საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „დისტანციური წესით გამართულ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო სხდომების მონიტორინგის ანგარიში“. 2020 წელი. <https://bit.ly/2V86wYD>.

<sup>149</sup> ამ პრობლემის თაობაზე ყურადღებას, ასევე, ამახვილებს ორგანიზაცია „უფლებები საქართველო“ ანგარიშში „ელექტრონული მართლმსაჯულების ეფექტიანობის და ხელმისაწვდომობის მონიტორინგი“: <https://bit.ly/2Vbc98w>.

## დისტანციურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები

მონიტორინგის მიმდინარეობისას, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებებით, სასამართლო სხდომების დისტანციურმა ხასიათმა ტექნიკური ხასიათის არაერთი განმეორებადი პრობლემა წარმოშვა. სასამართლო და პენიტენციური სისტემა მსგავსი გამოწვევისთვის მზად არ აღმოჩნდა.

ტექნიკური პრობლემების გამო სხდომების დაწყება ზოგჯერ საათობით გვიანდებოდა<sup>150</sup>, რაც არსებითად უშლიდა ხელს სასამართლო პროცესის ჩატარებას, რიგ შემთხვევებში კი პროცესების გადადების საფუძველიც გახდა. სასამართლოს სხდომების გადადებას ან გაჭიანურებას იწვევდა სხდომის მიმდინარეობისას წარმოქმნილი ვიზუალური და აუდიო პრობლემები, რაც ზოგჯერ სხდომის მთელი მიმდინარეობისას იჩინდა თავს<sup>151</sup>.

რამდენიმე საქმის სასამართლოს პროცესის მონიტორინგისას მნიშვნელოვან პრობლემად წარმოჩინდა დისტანციურად მხარეებს შორის Webex პროგრამით კომუნიკაციის ხარვეზები. თუკი ერთდროულად ორი ან მეტი პირი საუბრობდა, ხმა აღარ ისმოდა და პროცესის მონაწილეებს, მათ შორის - მოსამართლეებსაც, უწევდათ დასმული შეკითხვის გამეორება, რაც აჭიანურებდა და შეუძლებელს ხდიდა სხდომის გაგრძელებას. არაერთხელ დაფიქსირდა ისეთი შემთხვევებიც, როცა სასამართლოს სხდომის მონაწილეების ხმა

---

<sup>150</sup> მაგ., გიორგი ესიაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის განხილვის მონიტორინგის ანგარიში: 16.11.2020.

<sup>151</sup> იხ.: აგრეთვე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სპეციალური ანგარიში „მართლმსაჯულება პანდემიის დროს“. 2020 წელი. <https://bit.ly/2DLrsQ0>.

მეორდებოდა ან/და გაუგებრად ისმოდა. აღნიშნული პრობლემა დღემდე მოუგვარებელი რჩება<sup>152</sup>.

მსგავს პრობლემებზე მიუთითებს სახალხო დამცველის ანგარიშიც, რომლის თანახმად, დისტანციური წესით ჩატარებული სხდომები მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა სამართლიანი სასამართლოს უფლების ჭრილშიც<sup>153</sup>.

## დასკვნა

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ 25 საქმის სასამართლო მონიტორინგის შედეგების ამსახველი ანგარიში მოიცავს სამართლიანი სასამართლოს პრობლემურ საკითხებს, რომლებიც მონიტორებისა და ანალიტიკოსის მიერ არის იდენტიფიცირებული და რასაც მონიტორინგის მიმდინარეობისას სისტემური ხასიათი ჰქონდა.

მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშის მოცულობა შეზღუდულია, იგი მოიცავს საქართველოს სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართალწარმოების პრაქტიკის თითქმის ყველა ასპექტს, რომლებიც შეფასებულია საერთაშორისო სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან.

საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩო მთლიანობაში უზრუნველყოფს კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ გასამართლების უფლებას. კონსტიტუცია და საკანონმდებლო აქტები ზოგადად შეესაბამებასაერთაშორისო სტანდარტებს და სასამართლოები იქმნება კანონის საფუძველზე. თუმცა, სამართალწარმოების არაერთი შემთხვევა აჩენს კითხვას, თუ რამდენად

---

<sup>152</sup> მაგ., ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვას აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვის სხდომის ანგარიში, 30.11.2020;

<sup>153</sup> იხ.: საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „დისტანციური წესით გამართულ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო სხდომების მონიტორინგის ანგარიში“. 2020 წელი. <https://bit.ly/3fD4ur>.

შესრულდა კანონით დადგენილი დამოუკიდებელი სასამართლოს მოთხოვნები.

*მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა მთელი რიგი ხარვეზები სხვადასხვა სფეროებში, როგორცაა: კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ გასამართლების უფლება, საზოგადოებრივი ნდობა სისხლის სამართლის სისტემის მიმართ, საჯარო განხილვის უფლება, უდანაშაულობის პრეზუმფცია, საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და დუმილის უფლება, თავისუფლების უფლება, მხარეთა თანასწორობა, გონივრულ ვადაში გასამართლების უფლება, მონშეთა გამოძახებისა და დაკითხვის უფლება, დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების უფლება, დაკავების ეტაპზე ადვოკატის ყოლის უფლება და მონშეთა დაცვა, შერჩევითი სამართალი და პოლიტიკური მოტივები. ზემოაღნიშნული სამართლიანი სასამართლოს უფლებების განხილვა შესაბამის თავებში შეზღუდულია სამართლიანი სასამართლოს უფლების კონკრეტული ასპექტებით, რომელთა პრობლემურობა იქნა იდენტიფიცირებული.*

მონიტორინგის მიმდინარეობისას, იდენტიფიცირებულია შემთხვევები, როცა ხელისუფლების წარმომადგენლები სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე საუბრობდნენ ბრალდებულთა ბრალეულობის შესახებ, რითაც არღვევდნენ უდანაშაულობის პრეზუმფციას, რაც ხელს უწყობდა ბრალდებული პირების საზოგადოების თვალში დამნაშავედ წარმოჩენას. ამასთან, ასეთი განცხადებები, ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენდა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე პროკურატურის მიუკერძოებლობისა და პოლიტიკური ნეიტრალურობის შესახებ.

საზოგადოებაში არსებული ეჭვები შერჩევით სამართალთან და სავარაუდო პოლიტიკურ მოტივებთან დაკავშირებით, კიდევ უფრო გამძაფრდა მთავარი პროკურორის, შალვა თადუმაძის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნის შემდეგ, რამაც მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი საზოგადოებრივი ნდობის გამყარებას

სისხლის სამართლის სისტემისა და ზოგადად, სასამართლო ხელისუფლებისადმი და არ იძლევა მათი პოლიტიკური ნეიტრალურობის გარანტიას.

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი აღკვეთის ღონისძიებების, საპროცესო შეთანხმებების, პატიმრობის შესახებ სასამართლო პრაქტიკა უმეტესად არ შეესაბამებოდა როგორც ეროვნულ კანონმდებლობას, ისე - საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს. ხშირ შემთხვევაში, მოსამართლეებმა, დასაბუთებულობის გარეშე, უარი თქვეს დაცვის შუამდგომლობებზე, რომლებიც აღკვეთის ღონისძიებების, პატიმრობის შეფარდების ან გაგრძელების პროცესში იქნა წარდგენილი; ამან კი შექმნა თვითნებობისა და მიკერძოებულობის შთაბეჭდილება.

ანგარიშში შეფასებული საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეიცავდნენ არასრულფასოვან დასაბუთებას, რაც შეუსაბამოა სამართლიანი სასამართლო გადაწყვეტილების უფლებასთან. დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლება კონვენციით გათვალისწინებული ზოგადი პრინციპია, რომელიც ინდივიდს თვითნებობისგან იცავს. ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ მატერიალურ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს<sup>154</sup>. დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება ხელს უწყობს საზოგადოების უნდობლობას სამართლიანი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების სისტემის მიმართ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მონიტორინგის მიმდინარეობისას, იდენტიფიცირდა მრავალი პრობლემა პროცესებზე დასწრების ხელმისაწვდომობის კუთხით. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს სასამართლო სხდომების თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ ზუსტი ინფორმაციის მინოდების პრობლემა, რაც რეგულარულ ხასიათს

---

<sup>154</sup> იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Ruiz Torija v. Spain, §§29-30. 1994 წლის 9 დეკემბერი. <https://bit.ly/3qTU8Kf>.

ატარებდა და აფერხებდა როგორც მონიტორთა, ისე საზოგადოების პროცესებზე დასწრების შესაძლებლობას.

სამართლიანი სასამართლოს უფლების ჭრილში, მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა კორონავირუსის პანდემიის გამო, დისტანციური წესით ჩატარებული სხდომები. ბრალდებულთა უმრავლესობისთვის არ არსებობდა ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაციის შესაძლებლობა. მოწმეთა დაკითხვის დროს, რიგ შემთხვევებში, სასამართლო ვერ ამოწმებდა მოწმეთა სანდობას. ტექნიკური ხარვეზების გამო, პრობლემას წარმოადგენდა მოწმეთა თუნდაც ვიზუალური აღქმა ან მათი საუბრის გარჩევა. უმრავლეს შემთხვევაში, სასამართლო სხდომები იწყებოდა დაგვიანებით ან/და ხდებოდა მათი გადადება.

ზემოთ მოყვანილი დაკვირვებებიდან და შეფასებებიდან გამომდინარე, გამოვლინდა, რომ ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ქვეშ არსებულ საქმეებში არ იყო სრულად უზრუნველყოფილი სამართლიანი სასამართლოს უფლებები. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო განხილვებისას გამოვლენილი ხარვეზები შესაძლოა, არ არღვევდა სამართლიანი სასამართლოს უფლებას თავისთავად, მაგრამ გარკვეული ინდივიდუალური შემთხვევების, ცალკეული საკანონმდებლო ხარვეზებისა და ზოგადად პრობლემატური სასამართლო პრაქტიკის კომბინაცია, საფრთხეს უქმნიდა სამართლიანი სასამართლოს უფლების სრულ დაცვას საერთაშორისო სტანდარტებისა და ადამიანის უფლებების კანონმდებლობის შესაბამისად. ამან კი, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, გამოიწვია შემფოთება მთლიანად სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებისა და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართ; ასევე, საზოგადოებრივი აღქმადობის თვალსაზრისით.



## რეკომენდაციები

### სასამართლო ხელისუფლებას:

- ✓ მოსამართლეებმა უზრუნველყონ სამართლიანი სასამართლო პროცესი და მიღებული გადაწყვეტილებების მაღალი სტანდარტით დასაბუთებით, სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების დაცვით, აამაღლონ საზოგადოების ნდობა; მართლმსაჯულების სისტემის მიმართ;
- ✓ სასამართლო სხდომების შესახებ საზოგადოებისთვის ზუსტი ინფორმაციის მინოდების მიზნით, სასამართლოებმა მუდმივად განაახლონ ვებგვერდი, რომლის მეშვეობითაც ყველა დაინტერესებული მოქალაქე შეძლებს, მიიღოს ინფორმაცია სასამართლო სხდომების ჩატარების თარიღის, დროის და ადგილის შესახებ;
- ✓ მართლმსაჯულებაზე საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელების მიზნით, სასამართლოებმა უზრუნველყონ სხდომის საჯაროობის პრინციპის დაცვა - ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მიეცეს სასამართლო სხდომაზე დასწრების უფლება, როცა არ არსებობს სხდომის დახურვის კანონით გათვალისწინებული საფუძვლები;
- ✓ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეებზე, სასამართლოებმა უზრუნველყონ სხდომების ჩატარება დიდ სასამართლო სხდომის დარბაზებში;
- ✓ სხდომის თარიღისა და დაწყების დროის ცვლილების შემთხვევაში, გონივრულ ვადაში მოხდეს ცვლილებების ასახვა სასამართლოს ვებგვერდზე;
- ✓ დაპატიმრების ვადის ყოველი გავრძელებისა და გადახედვისას, სასამართლოებმა განსაზღვრონ, არსებობს თუ არა საფუძველი, რომელიც ამართლებს პატიმრობის ვადის

გავრძელებას და გაითვალისწინონ, რომ აღკვეთის ღონისძიების აუცილებლობის დადგენის ტვირთი ეკისრება პროკურატურას;

✓ სხდომის დარბაზები აღიჭურვოს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს სხდომაში მონაწილე პირთა საუბრის გავება;

✓ მოსამართლეებმა უზრუნველყონ სასამართლო სხდომებზე წესრიგის დაცვა. სასამართლო დარბაზიდან გასულ პირებს, განსაკუთრებით კი - სასამართლო მონიტორებს დართონ უკან დაბრუნების ნება, სასამართლოს მანდატურების თანხმობით.

✓ სასამართლოებმა უნდა განიხილონ თითოეული ბრალდება თითოეულ ბრალდებულთან მიმართებით, მტკიცებულებებზე მითითებით. ასევე - განმარტონ გადანყვეტილებაში, თუ რატომ იქნა მტკიცებულება გაზიარებული ან უარყოფილი;

✓ საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას, მოსამართლეები არ უნდა იყვნენ პასიურები; მათ უნდა მიიღონ ყველა სათანადო ზომა, რათა არ არსებობდეს ეჭვი სასჯელისა და დანაშაულის პროპორციულობასთან დაკავშირებით;

✓ სასამართლოებმა არ უნდა დაუშვან ბრალდებულად ცნობის დადგენილება მტკიცებულებად.

✓ სასამართლოებმა შეუფერხებლად უზრუნველყონ დისტანციურ სასამართლო პროცესებზე მონიტორებისა და დაინტერესებული პირების ჩართვა;

✓ დისტანციური სასამართლო პროცესების მიმდინარეობისას, უზრუნველყოფილი იქნას ადვოკატის და კლიენტის კომუნიკაციის კონფიდენციალურობის დაცვა.

✓ დისტანციური სამართალწარმოებისას სხდომები იყოს ტექნიკურად გამართული, რითაც სხდომაში მონაწილე და დამსწრე პირებისთვის, სხდომის მინდინარეობისას, საუბარი იქნება გასაგები და ასევე სასამართლო სხდომაზე დისტანციურად დასწრების შესაძლებლობა ექნება ყველა დაინტერესებულ პირს ისე, რომ დასწრება არ იქნება ლიმიტირებული.

### **პროკურატურას:**

✓ ბრალდების მხარის ქცევა უნდა უზრუნველყოფდეს მონშეთა და დაზარალებულთა დაკითხვისას მათი ძირითადი უფლებების დაცვას, მათ მიმართ პატივისცემასა და ადამიანურ და ღირსეულ დამოკიდებულებას;

✓ მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ ჩხრეკისა და ამოღების ღონისძიებას;

✓ ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი ნდობის აღდგენას პროკურატურის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართ.

### **იუსტიციის უმაღლეს საბჭო**

✓ გამოსცეს რეკომენდაციები, რომელთა მეშვეობითაც მოხერხდება სასამართლო პროცესებზე მონიტორთა და დაინტერესებულ პირთა მონაწილეობის სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა, რითაც, იმავდროულად, დაცული იქნება პროცესის მონაწილეთა ინტერესები;

✓ ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი ნდობის აღდგენას სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართ.

✓ საერთო სასამართლოებში მონიტორინგი გაუწიოს საბჭოს მიერ დამტკიცებული რეკომენდაციების სათანადოდ შესრულების პროცესს.

### **დაცვის ადვოკატებს:**

✓ მყისიერად აცნობონ სასამართლოს კონფიდენციალური და პრივილეგირებული კომუნიკაციის უფლების განხორციელებისთვის დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობის შესახებ.